№ 131

1877—1905

№ 131

შაბათი, 30 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შაბათი, 30 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად. **ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5. **საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ქართული დრამის ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 31 ივლისს, დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია წლიური კრება ამხანაგობის წევრთა.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის 1904/5 წ. სეზონის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
2 სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. ლიკვიდაცია. (3—2)

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია“.
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

მ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშმალაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ძველი ჭირი

ვინც უკვირდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურულ ვითარებას, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენში,—მცირე-რიცხოვან ხალხში,—განსაკუთრებით ადვილად შესამჩნევი და მწვავედაც საგრძნობია. ეს არის—მომზადებულ და მშრომელ კაცების ნაკლებობა მოქმედების ყველა დარგში საერთოდ და საზოგადო სარბიელზე—კერძოდ. ეჭვი არაა,—ჩვენს საზოგადოებას ყოველ წელიწადს ემატება ნასწავლი ხალხი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ წელს ასრულებს სწავლას რამდენიმე ქართველი, მაგრამ ცხოვრებაში ვერ ვხედავთ, რომ ეს შემატება თვალსაჩინოდ გამოიხატებოდეს და ჩვენს კულტურულ განვითარებას ბარაქიანობის აღმნიშვნელ დაღს ამჩნევდეს. ყოველ დარგსა და სფეროში მცოდნე და გამრჯელი კაცი სანთლით საძებნელია, განსაკუთრებით კი ისეთ დარგში, რომელსაც უფრო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, ბევრ შრომას მოითხოვს და მშრომელს კი მარტოოდენ უმადურობით უმასპინძლდება...

რასაკვირველია, ამ მოვლენას ბევრი მიზეზები აქვს, რომელთა ფესვები რეალურ ცხოვრებაში იმალება. აღზრდა, იმ წრეების საზოგადოებრივ-კლასობრივი ხასიათი, საიდანაც გამოდიან ჩვენი ინტელიგენტები, ჩვენი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, საერთო პოლიტიკური წესწყობილება და მრავალი სხვა,—არის მიზეზი, რომ ჩვენებურ „ნასწავლ“ კაცების შედარებით მცირე ნაწილი ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმეებს, არ კმაყოფილდება მარტო თავის კერძო არსებობის დამაკმაყოფილებელ საქმიანობით და ცდილობს მონაწილეობა მიიღოს იმ სფეროში, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებისათვის ბრძოლისა და მოქმედების სარბიელი არის.

ესრედ წოდებული „საზოგადო მოღვაწეობა“, როგორც ეს დღეს ჩვენში ესმით, ჩვენ არ მიგვაჩნია ერთად-ერთ და არც მთავარ მიზეზად საზოგადოების კულტურულ განვითარებისა. ამ „მოღვაწეობას“ იმდენი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოების განვითარებისათვის, რამდენადაც მას ზოგიერთნი ჰბერავენ და იმ ზომამდის აზვიადებენ, რომ ყოველგვარ წინმსვლელობის შემქმნელად, ყოველგვარ წარმატების წამომშობად აღიარებენ. შეიძლება კაცი მონაწილეობას არ იღებდეს გამოსაჩენ „საზოგადო საქმეებში“ და ამიტომ საზოგადოებაშიაც დიდებულად არა სჩანდეს, მაგრამ იგი თავის ცოდნითა და „კერძო“ მოქმედებით საზოგადოებისთვის დიდად სასარგებლო იყვეს და თავის საზოგადოებრივ მნიშვნელობით ზოგიერთ „მოღვაწეს“ სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდეს. ეს ასეა სახელდობრ მაშინ, როცა თითოეული კაცი, რომელსაც განათლება მიუღია და ნასწავლად ითვლება,—თავის სფეროში, თავის ხელობაში ვარგა, ამორჩეულ პროფესიის შესაფერი საფუძვლიანი ცოდნა აქვს და ცხოვრებითაც ისე ცხოვრობს, რომ თავის ბედნიერებისთვის სხვის უბედურობას არა ხდის საფუძვლად.

ამიტომ ჩვენის ინტელიგენციის უმრავლესობა ნაკლებ დასაგმობი და ასათვალწუნებელი იქნებოდა, რომ იგი თავის კერძო მოქმედების სფეროში მაინც ყოჩაღი იყოს და მას ცოდნის მაგიერობის გამწევად დიპლომი არ მიაჩნდეს. სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ მხრით ქართველები ძალიან ვკოჭლობთ და ამ სიკოჭლეს განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობთ, როცა რაიმე საყურადღებო საკითხია გასარკვევი და საჭირო ხდება სპეციალისტთა დახმარება და მათის სპეციალურ ცოდნის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში ყველანი ნათლად ვრწმუნდებით, რომ ცოდნაზე ძალიან მწყრალად ბრძანდებიან ჩვენი დიპლომიანი ინტელიგენტები...

და რახან ცოდნა და მომზადება მცირეა, ამიტომ მათი კერძო ცხოვრება და მოქმედებაც უფერულია, შინაარსით ღარიბია და ამის გამო საზოგადოებას არა პირდაპირადაც ვერ აძლევს რაიმე თვალსაჩინო სარგებლობას. მცირე ცოდნისა და მომზადების პატრონი ადამიანი, თუ იგი მარტო კერძო ცხოვრებით დაკმაყოფილდა, თანდათან უფრო-და-უფრო ილესება, განმასხვავებელი კულტურული სახე ეკარგება და თავის „რუხ“ მეზობლებს ემსგავსება.

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი ინტელიგენცია, ძალიანაც რომ იყოს საზოგადო საქმეებით გატაცებული, მაინც ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს და ცხოვრებას კვალს ვერ დაამჩნევსო, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება.

ჩვენი ცხოვრება კულტურულად ჯერ კიდევ ისე ჩამორჩენილია, ხალხის კულტურულ განვითარების დონე ჯერ კიდევ ისე დაბალია, რომ ყოველ მცირედ განათლებულ კაცსაც შეუძლიან სარგებლობის მოტანა, თუ კი მას იდეალური მისწრაფება ექნება და თავის ძალ-ღონის შესაფერად მუშაობას არ გაექცევა. ისიც კი, ვინც ვიწრო კერძო ცხოვრების ფარგალში ვერ იჩენს შესაფერ მოხერხებას, და იქელება მისივე ხელობის კაცებთან კონკურენციაში,—საზოგადო საქმეების სარბიელზე მაინც, ასე თუ ისე, გამოსაყენებელი იქნება, რადგან ჩვენს ხალხს, ვიმეორებთ, იმდენი რამ ესაჭიროება, რომ უბრალო იდეურ სალდათისთვისაც კი საქმე გამოჩნდება.

საფუძვლიან ცოდნის შესაძენად საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა, რაც ადვილი საქმე არაა და დაგვიანებულად ბევრს აღარც შეუძლია; მაგრამ ასევე ძნელი არ არის თავის არსებაში საზოგადოებრივ გრძნობიერობის გაღვიძება და თავის მცონარა ცხოვრებაში ცოტათი სიცოცხლის წყალის მოპკურება. დღეს მთელი ჩვენი ხალხი ძლიერმა მოძრაობამ მოიცვა, და მართლა სულით მკვდარი უნდა იყოს კაცი, რომ ამ მოძრაობამ არ გამოაფხიზლოს და გული არ აუძგეროს. თითოეული, ცოტად თუ ბევრად, შეგნებული ინტელიგენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში და, თავის ძალ-ღონის მიხედვით, ხალხოსნურ გზის გასაკაფავად ცნობიერება გააძლიეროს ხალხში.

ძველი ჭირია ქართველ ინტელიგენციის უმოქმედობა. მაგრამ დღეს ისეთი დროა, რომ ეს ჭირი, თუ იგი არ განიკურნა, სიკვდილის მომასწავებლად ჩაითვლება...

რუსეთის ფინანსები და სახელმწიფო კრედიტი

უფულოდ რუსეთს იაპონიასთან ომიანობა არ შეუძლიან.

რუსეთის არსებობა, სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობა, არ შეიძლება უფულოდ.

ჯარის შენახვას, სახელმწიფო მოხელეთა ჯამაგირს, ბრძოლას შინ და გარეთაც სჭირია ფული,—უფულოდ არ შეიძლება იმ აურებელ ვალების გადახდა რომელიც აულია ბიუროკრატიას ხალხის ნება დაურთველად და უხარჯავს ხალხის დაუკითხავად და რომელიც მძიმე ლოდივით აწევს ამჟამად რუსეთის ფინანსებს.

ფული საჭიროა! მაგრამ ვინ ანდობს ფულს ბიუროკრატიას, რომელმაც შინ გადაიმტერა ხალხი და გარედ გაიტეხა სახელი? ჯერ სანამ ძლიერი იყო, მისი ძლიერება შეურყეველი ეგონა ყველას, მაგრამ დაჰბერა ქარმა, ცხოვრების ზედა პირი ოდნავ შეინძრა და მასთან ერთად შეინძრა, შეირყა ბიუროკრატიის ძალაც რუსეთში...

ყოველი ფულის პატრონი, რომელიც ფულს სახელმწიფოს ასესხებს, რომელიც ყიდულობს სახელმწიფოს სარგებლიან ქაღალდებს,—ენდობა ხალხს, ენდობა მთელ სახელმწიფოს და არა ამ სახელმწიფოს სათავეში მდგომს ან ამ სახელმწიფოს სახელით მოქმედ ბიუროკრატიას.

ეს ავიწყდებოდა რუსეთის ბიუროკრატიას, და აკი ამიტომ ფინანსთა ცნობილი მინისტრი ბ-ნი ვიტტე, იმთავითვე აცხადებდა საჯაროდ, რუსეთის საფინანსო სისტემა მკვიდრსა და მტკიცე ნიადაგზე არისო აშენებული...

„მკვიდრი“ იყო ეს ნიადაგი იმიტომ, რომ ადმინისტრაციას „მკვიდრად“ ჰქონდა ხელი ჩაჰჭერილი ხალხისთვის, „მტკიცე“ იყო იგი იმიტომ, რომ ადმინისტრაცია „მტკიცედ“ ასრულებდა უფროსების ბრძანებას და ძალით ახდევინებდა ფულს გადასახადში ყველას, ვისაც მისი გადახდა უძნელდებოდა, ვისაც გადასახადის ფული კი არა, დღიური ლუკმაც აღარ გააჩნდა...

ამნაირი „სიმტკიცე“ ბიუროკრატიის თვალში სრულიად საკმარისი იყო სახელმწიფო ფინანსებისთვის.

ვიღა აქცევდა ყურადღებას იმას, რომ ხალხი ღარიბდებოდა, რომ სოფლელი სარჩოს იკლებდა, ნახევრად მშიერი რჩებოდა და ამნაირად სამუშაოდ საჭირო ძალასა და ჯანმრთელობასაც ჰკარგავდა, რომ ხალხი უმეცრების მორევში სცურავდა და, ყველაფრით ჩამორჩენილი, ვერც წარმოების განვითარებას აძერხებდა და ამიტომ თანდათან ჰკარგავდა ბაზარს და საზღვარ-გარეთის ეკონომიურ მონად ხდებოდა... ვის რად ენაღვლებოდა, რომ შემოტანილ საქონელზე დადებული ბაჟი აძვირებდა საქონელს და ამით აძვირებდა ცხოვრებას, რომ ათასი არა-პირდაპირი გადასახადი ცხოვრებისთვის აუცილებლად საჭირო რამეებზედაც ნახევრად მშიერ სოფლელს უკანასკნელ ლუკმა-პურს ართმევდა, რომ ხალხის მწარე ოფლით ნაშოვნი ფული, გადასახადის სახით, ხაზინაში გროვდებოდა, ან ვინ მიაქცევდა ყურადღებას ამაებს, როდესაც ფული საჭირო იყო ახლავე...

მხოლოდ ხალხის დასამშვიდებლად, გარეშეებში ნდობის მოსაპოვებლად, ფინანსთა სამინისტრო აცხადებდა,—ნაღდი ფული მოგვემატაო ზანდუკში.

ამასვე იმეორებდა მაშინ, როდესაც ომი დაწყებული იყო და ჯარი უკვე იგზავნებოდა მანჯურიაში: ფული ბევრი გვაქვს, სესხი არ დაგვჭირდებაო, ომს ხელად გავათავებთ და გამარჯვებული დავბრუნდებითო.

დრო გადიოდა... გარედ, მანჯურიაში საშინელ დამარცხებას შინაური არეულობაც თან მოჰყვა,—ახალ ცხოვრების სიომ სრულებით გარდაჰქმნა ხალხის აზროვნება და იდეალები... და ამ საერო განათლების დროს აშკარად გამოჩნდა, თუ რამდენად ფუყე, რამდენად მოსატყუილებელი იყო ის ძლიერება, რომელიც შექმნა ბიუროკრატიამ, რომლითაც იგი თავს იქებდა ყოველთვის.

რუსებზე ადრე ეს გარემოება გაიგეს საზღვარ-გარედ, ეს გაიგო რუსეთის ბიუროკრატიის მოკავშირემ—საფრანგეთმა..

ბიუროკრატიამ ფულის საშოვნელად ჯერ, რასაკვირველია, თავის მოკავშირეს მიმართა.

მაგრამ მოკავშირე ახლა, როდესაც ყველასთვის აშკარა შეიქმნა, რომ ხალხი ბიუროკრატიას ჩამოშორდა, რომ ხალხი თვითონ ებრძვის ბიუროკრატიას, — უწინდელის ნდობით აღარ მოეპყრა რუსეთს და გამოაცხადა,—ფულს გასესხებთ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს ფული საფრანგეთშივე დარჩესო დანარჩენ სესხის უზრუნველ-საყოფლად. იმ დროს სარგებლიან ქაღალდების ფასი ძირს იწევდა და რუსეთიც იძულებული შეიქმნა ამ პირობებითაც აეღო საჭირო ფული კურსის გასამაგრებლად.

ამის შემდეგ გერმანიაშიაც სცადა ბიუროკრატიამ, მაგრამ აქ გერმანელებმა იმ პირობით ასესხეს ფული, რომ გერმანიაში რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟები უნდა აწეულიყო, თუმცა ამ სესხით აღებული ფულიც ვერ შემოვიდა ნაღდად რუსეთში.

ძალაუნებურად ბიუროკრატიას ისევე რუსეთშივე უნდა ესესხნა საჭირო ფული: პირველად 150 მილიონის სასესხებლად 3,6% ქაღალდები გამოსცეს...

მეორედ კიდევ 200 მილიონის შოვნას შეეცადნენ...

ამ ორ „სესხში“ აშკარად გამოჩნდა ის უფსკრული, რომელიც ბიუროკრატიას ხალხისაგან აშორებს. ხალხმა აქ გადაჭრით გამოაცხადა, რომ მას არ უნდა ბიუროკრატიას თავის ფულით ხელი შეუწყოს ისეთ საქმეში, რომელიც ბიუროკრატიამ ხალხის დაუკითხავად დაიწყო...

მაგრამ ფული საჭირო იყო და ბიუროკრატიამაც უკიდურეს საშუალებას მიმართა, — უზომო ქაღალდის ფული დაბეჭდა და გამოსცა რუსეთში. ომის დაწყებისას 630 მილ. მანათის ქაღალდის ფული იყო,—ახლა კი 970 მილიონზე მეტი,—340 მილიონ მანათის მომატება!

ქაღალდის ფული სახელმწიფოსთვის იგივე თამასუქია. როგორც ნამეტან ბევრ თამასუქების გაცემა ნდობას უკარგავს ვაჭარს, ისე ნამეტანი ბევრი ქაღალდის ფული სახელმწიფოსთვის ნდობის დამკარგველია, ქაღალდის ფულს თავის თავად არავითარი ფასი არა აქვს,—იგი ქაღალდის ნაფლეთია, სხვა არაფერი,—ქაღალდის ფულს ფასს აძლევს მთავრობის დაპირება, ყოველ წამს, პირველსავე მოთხოვნაზე, ამ ქაღალდის ფულს ოქროდ დაეახურდავებო, და ამიტომ ხაზინას ქაღალდის ფულის დასახურდავებლად საჭირო ნაღდი ოქრო უნდა ჰქონდეს... მაგრამ როდესაც აღებ-მიცემობა შემცირებულია და ამის გამო ფულის ტრიალი ნაკლებიც ხდება, როდესაც ამიტომ ქაღალდის ფულის მომატება კი არა, შემცირებაა საჭირო,—ამ დროს ქაღალდის ფულის უზომოდ, უანგარიშოდ გამოცემას ის მოჰყვება, რომ ყველა ქაღალდის ფულს,—მთავრობის თამასუქს,—გასანაღდებლად —დასახურდავებლად—წარადგენს ხაზინაში, ოქროს ფულს მოითხოვს, და ხაზინას საკმარისი ოქროს ფული თუ არ აღმოაჩნდა ყველას დასაკმაყოფილებლად,—ეს ხომ სიკოტრის მომასწავებელი იქმნება ისევე, როგორც გაკოტრებულად გამოაცხადებენ ხოლმე იმ ვაჭარს, რომელიც თამასუქში ფულის გადახდას უარობს...

ისინი, ვისაც რუსეთისათვის ფული უსესხებიათ, რასაკვირველია, ყოველთვის გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო ბანკის მოქმედებასაც.

ამ გაჭირვების დროს, როდესაც თვით ხალხსაც, ომიანობის გამო შეწუხებულს, სახელმწიფო ბანკის დახმარება სჭირია, ეს ბანკი ხალხს ხელს უჭერს, ყველას ნასესხებ ფულის დაუყოვნებლივ დაბრუნებას სთხოვს, მაგრამ აქაც ისევე წერილებზე იჩენს ძალას,—მთავრობას კი მაინც საკმარის დახმარებას ვერ უწევს,...სხვა ვერაფერი მოიფიქრა და მოახერხა ბიუროკრატიამ,—ქაღალდის ფული გამოსცა უზომოდ.

ან როგორ მოახერხებდა, როდესაც თვითონაც ფული უჭირს იმიტომ, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ხაზინის შემოსავალმა შესამჩნევად იკლო! არეულობებისა თუ ომიანობის გამო, ვაჭრობა-მრეწველობამ იკლო, ხალხის მოძრაობამ მოსპო გადასახადის შეტანა ხაზინაში,—ბიუროკრატიამ ძალით უნდა შეაგროვოს სოფლად ჩვეულებრივი გადასახადი.

ხალხი, რომელიც აშკარად აცხადებს, რომ მას ბიუროკრატიასთან საერთო არაფერი აქვს, ითხოვს სახელმწიფო საქმეების მართვა გამგეობაში მონაწილეობის მიღებას და ამბობს, რომ უნდა თვალ-ყური ადევნოს გადასახადის ან სესხის სახით შემოსულ ფულის დახარჯვას. ბიუროკრატიის უკანტროლო ბატონობას ელება ბოლო; ან სად და როგორ უნდა იბატონოს, როდესაც ფული არა აქვს და უფულოდ სახელმწიფოს კი არა, კერძო ადამიანსაც გაძლება არ შეუძლიან ამჟამად.

ამ უფულობამ დააშინა ბიუროკრატია, მით უფრო, რომ საზღვარ-გარედაც ყველამ გადაჭრით გამოუცხადა,—ფულს ვერ გასესხებთ, სანამ ხალხის კანტროლობის ქვეშ არ იქმნება, საფინანსო საქმე რუსეთში, ფულს ვერ გასესხებთ, სანამ ხალხის დაუკითხავად მოქმედობთ, მის ნებადაურთველად ლაპარაკობთ მისივე სახელით...

და ბიუროკრატია, რომელსაც ფული სჭირია ახლავე, აუცილებლად, ცხოვრების მსვლელობას ძალა-უნებურად დაემორჩილება...

ი. ლ—ძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 **ივლისი.**

კონოტოპი, 28 ივლისი. დრაგომიროვი ამ უკანასკნელ თვეში ლოგინიდან არ ამდგარა. ხანდახან ოთახში გორგოლებიან სავარძლით ატარებენ. დრაგომიროვს გონების სისადე და სულის სიმტკიცე შერჩენია. კვირაობით ბანქოს თამაშობს, ხოლო სხვა დროს საზოგადო თუ სამხედრო ცხოვრების შესახებ შინაურებს სხვადასხვა სტატიებს უკარნახებს ხოლმე. სტატიების კორექტურას თვითონვე კითხულობს. ქალაქის საუკეთესო ნაწილში სცხოვრობს იგი, საკუთარს სახლში, რომელსაც ბაღი აქვს შემორტყმული დილით 6—7 საათზე დგება, ხოლო საღამოს 9 საათზე იძინებს. ძილი ჩინებული აქვს, მადა—რიგიანი.

კოვნა, 28 ივლისი. გუშინ კათოლიკეთა ეკლესიაში მთვრალ დრაგუნის მიერ დახოცილები დაასაფლავეს. სიტყვები რუსულად, პოლონურად, ებრაულურად და ლიტვურად წარმოსთქვეს. ებრაელი მუშა ძალიან ბევრი დაესწრო, რომ ქრისტიან მუშებისათვის თავისი თანაგრძნობა დაემტკიცებინათ. ზომები იყო მიღებული და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

კოვნა, 28 ივლისი. „კოვენსკი ტელეგრაფ“-ში კოვნის ციხის კომენდანტის განცხადებაა დაბეჭდილი: „25 ივლისს, ჩემს აქ არ ყოფნის დროს, ციხეში მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. მუშათა ბრბომ სამს დრაგუნს ქვები დაუშინა. ერთი ამათგანი მოთმინებიდან გამოსულა და სამჯერ უსროლია. უცხო პირთაგან ორი კაცი მოკვდა და ერთი ქალი დაიჭრა. სასამართლოს საქმე მსროლელის საქციელის გარჩევა და მისი გასამართლება, მაგრამ მე არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ წინააღმდეგ ჩემ-მიერ გამოქვეყნებულ განცხადებისა, მცხოვრებლების ერთი ნაწილი მაინც კიდევ შეიკრიბა და, არამც თუ წესიერება დაარღვია, არამედ სალდათებს ქვებიც კი დაუშინაო. ამის შემდეგ ყოველ უწესობის დროს იარაღს მივმართავ ხოლმეო“.

პეტერბურგი. პუტილოვის ქარხნის მუშები თანდათან ბრუნდებიან ქარხანაში სამუშაოდ. რამდენსამე გაფიცვის შემდეგ, 28 ივლისს, იქ უკვე მუშაობდა 3,000 კაცი. საზოგადოების გამგეობას იმედი აქვს, რომ 15 აგვისტოსთვის ყველა, ე. ი. 13,000 მუშა, ქარხანას დაუბრუნდება. მუშებს იღებენ ძველის პირობებით. გაზეთების ცნობით, ვითომ ქარხნის დირექტორი დაითხოვეს და მის მაგიერ სხვა მოიწვიეს, სამართლეს მოკლებულია.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრო კვლავ თხოულობს, რომ სამინისტროს საქალებო სასწავლებლებში ექიმის თავისუფალ ადგილებზე დაინიშნებოდნენ ექიმი-ქალები.

პარიჟი, 28 ივლისი. ჰფიქრობენ, რომ ამერიკის ფინანსისტები წინადადებას მისცემენ ჩინეთს, პოლიტიკურ-ფინანსიურ პირობებით შეკრას მათ მანჯურიის გზის მართვა-გამგეობის მომავალ ორგანიზაციის გამო. შუამავლები, რომლებიც ამ საქმეში ურევიან, ცდილობენ შეარიგონ ვაშინგტონი და პეკინი, რომელთა შორის მეტად ცუდი დამოკიდებულებაა.

კრონშტადტი, 27 ივლისი. დღეს მოვიდნენ საიგონიდან გერმანიის გემები „განნა“ და „ტოტტი“.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 ივლისი

პარიჟი, 28 ივლისი. გუშინდელის კრებიდან ვიტტე ჩინებულ გუნებაზე დაბრუნდა. ის ამბავი, რომ იაპონელებს თავისი მოთხოვნილებანი ჯერ არ წამოუყენებიათ, მითქმა-მოთქმას იწვევს. პირველმა კრებამ რუსებსა და იაპონელთა წრეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა პესიმისტურად უცქერიან საქმეს. იაპონელები ამბობენ, იაპონია სახალინის დათმობას და 2 მილიარდ მანათს მაინც მოითხოვსო. ვიტტემ განაცხადა, თუ იაპონელები დაბეჯითებით წამოაყენებენ ასეთს მოთხოვნილებას, ზავის ჩამოგდებაზე ყოველივე იმედი უნდა დავკარგოთო. ტოკიოში კმაყოფილნი დარჩნენ იმ დახვედრით, როგორც მათს რწმუნებულთ შეეგებნენ. სამშვიდობო კონფერენციის გამო უიმედობა ეტყობათ.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. იაპონიის პარლამენტის წევრს მაცუმოტოს, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკშია, უთქვამს: იაპონია კონტრიბუციასაც მოითხოვს, სახალინსაც, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულსაც, მანჯურიის რკინის გზასაცაო. აგრეთვე მოითხოვს, რომ ვლადივოსტოკი ყველასთვის ღია ნავთსადგურად აღიარონ და მანჯურიაც მსოფლიო აღებ-მიცემობისთვის ღია უნდა იყოსო. კომურას ამალის ერთმა წევრმა სთქვა, კონტრიბუციად 2 მილიარდი მანათი ძლიერ ბევრი არ არისო.

პორტსმუტი, 28 ივლისი. კერძო ლაპარაკში ვიტტემ განაცხადა, კონტრიბუციაზე ვერას გზით ვერ დავთანხმდებიო. იაპონურ წყაროებიდანა სჩანს, რომ იაპონია 600—800 მილიონ დოლლარს მოითხოვსო. ფიქრობენ, რუსეთი სახალინს დაუთმობსო.

ბერლინი, 28 ივლისი. ნიუკესტლში „ლოკალ-ანცეიგერის“ კორესპონდენტს რუსეთისა და იაპონიის დელეგატებთან ულაპარაკნია და ისეთი შთაბეჭდილება გამოუტანია, რომ შეთანხმება მოხერხდებაო.

ლონდონი, 28 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ“ ი ოფიციალურად იუწყება, ვიტტემ განაცხადა, რუსეთი მზად არის დასთანხმდეს, რომ იაპონია კორეას პროტექტორად გახდეს, იმ პირობით, თუ იაპონელები რუსეთის საზღვარზე სიმაგრეებს არ ააგებენ და რუსებს იგივე უფლებანი მიენიჭებათ, რაც სხვა ევროპიელებსა აქვთო; რუსეთი დაუთმობს პორტ-არტურს, დალნის, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს და მანჯურიის სამხრეთად მდებარე ოლქებს, რომელიც იაპონელებს უჭირავთ, დაუთმობს რკინის გზას, მისცემს ნებას სახალინის ნაპირებზე თევზი იჭიროსო. თუ იაპონია კონტრიბუციასა და სახალინის დათმობას მოითხოვს, ზავი შეუძლებელიაო.

ნიუ კესტლი, 28 ივლისი. რუსის ერთმა დელეგატმა პრესსის წარმომადგენელს უთხრა: „კონტრიბუციის გადახდაზე ჩვენ ვერ დავსთანხმდებით, ხოლო რუსის ტყვეებზე დახარჯულს ფულს, რამდენიც უნდა იყვეს, ერთი-ორად გადავიხდითო.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. «უენტვორტ“ის სასტუმროზე, რომელშიაც დელეგატები სცხოვრობენ, რუსისა და იაპონიის ბაირაღები იყო აფრიალებული. ვიტტემ განაცხადა, იაპონიის ბაირაღი კაცს თვალში ეჩხირებაო. ამიტომ გირსმა განკარგულება მოახდინა ორივე ბაირაღი ჩამოეხსნათ.

ინკოუ, 27 ივლისი. მიშჩენკოს ცხენოსანი ჯარი აღმოსავლეთ მონგოლიაში მოქმედობს. მიშჩენკო სცდილობდა იაპონელების მარცხენა ფრთეზე მიეტანა იერიში.—35 ხუნხუზი შეეცადა ცეცხლი მოეკიდებინა იაპონელების სურსათის საწყობებისთვის ინკოუში, მაგრამ იაპონელებმა ამოხოცეს.

მოჯი. როგორც ამბობენ, რუსებს ტუმენთან 50,000 ჯარის-კაცი ჰყავთო. ფურიანგსა და ხერიაგას მიდამოებში ომის დაწყებას ელიან. რუსები ეცდებიან ტუმენი ხელიდან არ გაუშვან.

შანჰაი, 27 ივლისი. როგორც იუწყებიან, ჩინეთის საიმპერატორო ჯარი აჯანყდა და ქრისტიანთა წინააღმდეგ მოძრაობას შეუერთდა. მეამბოხე 20,000 კაცამდეა. დაიჭირეს სუჩანძი. მთავრობა მეამბოხეთა დასამშვიდებლად ჯარსა ჰგზავნის.

პორტსმუტი, 28 ივლისი. სატომ კომურასა და ტაკახირის სახელით გამოაცხადა, დღევანდელ სხდომას ოფიციალური ხასიათი არა ჰქონდაო. ოფიციალური სხდომები ხვალ დაიწყება და დილის ცხრა საათიდან თორმეტ საათამდე და ნაშუადღევის სამ საათიდან საღამოს ექვს საათამდე მოხდება ხოლმეო. რწმუნებულნი პირველ სხდომით ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ. რწმუნებულობის საბუთები მხოლოდ ვიტტემ წარადგინა. კომურამ მხოლოდ თავის საბუთების შინაარსი გადასცა და უთხრა: თუ გსურთ ასლსაც მოვატანინებო, მაგრამ ვიტტემ, უპასუხა, ასლის მოტანა ხვალაც შეიძლებაო. რჩევის სხდომების ანგარიშებს პრესსაში მხოლოდ ორთავე მხრის თანხმობით გამოაქვეყნებენ.

პორტსმუტი, 28 ივლისი. ბანაობის დროს ვიტტემ მარცხენა ფეხი იღრძო და იძულებულია ჯოხით იაროს, თუმცა ტკივილებს არა გრძნობს.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. „ჰერალდს“ პორტსმუტიდან ატყობინებენ, რომ მალე დასდებენ ხელ-შეკრულობას, რომლის ძალითაც ჩინეთის ინტერესების ფორმალური წარმომადგენლობა იაპონიას გადაეცემაო. ამბობენ, რუზველტმა იცის მისწრაფება იაპონელებისა, რომელიც გამოიხატება პრინციპში: „აზია აზიელებისათვის!“ იაპონია ჩინეთთან კავშირს შეჰკრავს. ამბობენ, ამერიკულ საქონლზე ბოიკოტის გამოცხადებაში იაპონელებსაც წილი უდევთო. „ჰერალდის“ სიტყვით, გუშინ პორტსმუტში საქმე ისე იყო, რომ კინაღამ იაპონელებმა მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს, მაგრამ ბოლოს დროს მათ თავისი მოთხოვნილებანი შესცვალესო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

რამდენი ჯარი ჰყავს იაპონიას? „რუს. სლ.“-ს კორესპოდენტის ანგარიშით, ომის დასაწყისს იაპონიას ჰყავდა: 1904 წელს ჯარში გაიყვანეს 250,000 კაცი; ნასწავლი, მარქაფა ჯარი—1,420,000, მიკადოს ბრძანებით ახლად მოკრებილი და გაწვრთნილი—234,000 კაცი. სულ თითქმის 1,900,000 კაცი. ომის დროს კიდევ გაიწვიეს სამსახურში: პირველად 250,000 კაცი, მეორედ—64,000. აქედან ბრძოლის ველზე გადაიყვანეს და სხვადასხვა სამსახურში გაიწვიეს 1,365,000 კაცი. იაპონიაში ხელუხლებელი დარჩა და საბრძოლველად მზად არის 1,105,000 ჯარის-კაცი.

ზავი. „რუს. სლ.“-ს კორესპოდენტი ნიუ-იორკიდან დეპეშით იუწყება: ვიტტემ მოითხოვა, ორთავე მხარემ ჩვენი პირობები წერილობით წარვადგინოთო, თორემ ლაპარაკი ცოტა სახიფათოაო. იაპონიის წარმომადგენელი ბარონი კომურა ამას არ დაეთანხმა და პირისპირ მოითხოვა მოლაპარაკება. როგორც დეპეშებიდან ვიცით, კომურამ თავისი გაიტანა და მოლაპარაკება სიტყვიერად ხდება (რ. ს.).

იმავე გაზეთს იქიდანვე დეპეშით ატყობინებენ: ამერიკული პრესსა დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ ვიტტე არას-დროს არ ყოფილა დიპლომატი და მხოლოდ ახლა იკისრა ეს მძიმე საქმე. კომურა კი, პირიქით, იაპონიის საუკეთესო, გამოცდილი დიპლომატია და ზედმიწევნით იცის ამ ხელობის ხრიკები და საიდუმლოებანი (რ. ს.).

ნიუ-იორკიდან „სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ: ამერიკის პრესსა ერთხმად აღიარებს, რომ რუსეთში კონსტიტუციის შემოღების შემდეგ ამერიკის ხალხი სულ სხვანაირ თვალით შეხედავს რუსეთს და თავის მეგობრობის ღირსად გახდის. ჯერ-ჯერობით კი, სანამ რუსეთში სახელმწიფო წესწყობილება ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება, ამერიკელები რუსეთს ისე ვერ მოეპყრობიან, როგორც თავის სწორსაო. (რ. ს.).

იაპონიის პირობები. „ბერლინერ ტაგებლატი“ ირწმუნება, იაპონიის მოთხოვნილებანი გავიგეო. აი, იაპონიის პირობები: 1) იაპონიამ ერთნახევარი მილიარდი მანათი უნდა მიიღოს კონტრიბუციად; 2) იაპონია მიიღებს კორეას, სახალინს, პორტ-არტურსა და დალნის; 3) აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა იაპონიას გადაეცემა; 4) ვლადივოსტოკი სანეიტრალო უნდა იყოს. თუ ომი გაგრძელდა, ზემოხსენებულის გარდა, იაპონია მოითხოვს ვლადივოსტოკს, უსურიის მხარეს და ამურის ოლქის ერთ ნაწილს (რ. ს.).

ბერლინიდან „რუს“-ს ატყობინებენ: ტოკიოდან ცნობა მოვიდა, ვითომ იაპონია რუსეთის იმ გემებს მოითხოვს, რომელთაც ომის დროს სანეიტრალო სახელმწიფოებს თავი შეაფარესო (რ. ს.).

ახალი ამბავი

კავკასიის ნამესტნიკმა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო **ბულიგინის პროექტის ასლი**. სამინისტრო სთხოვს ნამესტნიკს ამ პროექტის შესახებ თავისი აზრი წარუდგინოს.

✦ 26 ივლისს **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტაცია**. დეპუტაციაში იყვნენ: მაზრის მარშალი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, მომრიგებელი შუამავალი თავ. მ. რ. ერისთავი, მ. ვ. მაჩაბელი, თავ. კ. ა. ერისთავი, თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, ა. ლ. აბაზაძე, თავ. ნ. ა. თუმანიშვილი და მ. რ. ზაალიშვილი. დეპუტაციამ, გორის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების დადგენილებისამებრ, ნამესტნიკს მადლობა გადაუხადა მზრუნველობისათვის და მოხსენება წარუდგინა მაზრაში საქმის მდგომარეობათა შესახებ.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ გირეის მიჰმართეს გორის მაზრის მეტივეთა რწმუნებულებმა, რომლებიც უჩივიან ტფ. ქალაქის გამგეობას. **მეტივეები თხოულობენ, რომ ქალაქის გამგეობას გარდახდეს 37,500 მან.**, რომელიც $2^1/_2$ წლის განმავლობაში მეტივეებს გამგეობამ უკანონოდ გადაახდევინა. რწმუნებულნი ამბობენ, $2^1/_2$ წლის წინად სენატმა დაადგინა, ქალაქში ჩატანილ ტივებზე ფული არ გადახდეს, მაგრამ ქალაქი კი გვახდევინებდაო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობა **სთხოვს ტფილისის გუბერნატორს**, იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რათა მან გაანთავისუფლოს ქალაქის გამგეობა იმ გადასახადებისაგან, რომელსაც მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული სთხოვს ქალაქს, ე. ი. ერთდროულად 42000 მ. და ყოველ-წლიურად 6000 მან.

✦ ტფ. მაზრის უფროსთან **მივიდნენ სოფ. კუმისის მცხოვრებნი, ძალზე ნაცემი 9 გლეხი**, და შესჩივლეს, თავ. გ. ორბელიანის მოიჯარადრეებმა წელს მოსავლის მეოთხედის მაგივრად, რასაც დღემდის ვიხდიდით, ნახევარი მოგვთხოვეს. ჩვენ რომ ამაზე უარი განვაცხადეთ, სტრაჟნიკები გამოიწვიეს—გლეხები აჯანყდნენო, და სტრაჟნიკებმაც თავ-პირი დაგვამტვრიეს, სახლები გაგვიჩხრიკეს და ზოგიერთის ვერცხლის ნივთებიც წაართვესო.

✦ მოლა მასლაკმა აცნობა შიიტების სასულიერო გამგეობას: 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე ერევნის რკინის გზის სადგურზე **სადგურის უფროსმა ძალზე მცემაო**. სასულიერო გამგეობამ ეს ამბავი აცნობა ნამესტნიკს და ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს.

✦ თერგის ოლქის ატამანის განკარგულებით, მუშათა გაფიცვის გამო „მინერალნია ვოდი“-ს სადგურზე, **ადმინისტრაციის დასახმარებლად გაიგზავნა ორი როტა**.

✦ **ბაქოში, დროებით სამხედრო სასამართლოში, 10 აგვისტოს გაირჩევა საქმე გლურჯიძისა**, რომელსაც უზნის ზედამხედველის ძიქელაძის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. ამ დღესვე გაირჩევა საქმე ჩარუხჩიანისა და ოვანესიანცისა, რომელთაც ბოქაულის მამედ ბეგოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ.

✦ სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება, თავის წყაროზე, 23 ივლისს, ეტლით მიმავალ მგზავრების **ერთ ერთი გამძარცველთაგანი ვანო გარსევანიშვილი შევიპყარით**.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, **დაასრულა საქმის განხილვა** აკოფ ნაზარეთიანცისა, სააკ ტერ-გრიგორიანცისა და ვასილ მულდუსი-კევორკოვისა, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგობა ბრალდებოდათ. პალატამ აკოფ ნაზარეთიანცი დამნაშავედ იცნო და 6 წლითა და 8 თვით კატორღა გადუწყვიტა, სააკ ტერ-გრიგორიანცი გაამართლა, ხოლო ვასილ მულდუსი-კევორკოვს ერთის წლით ციხე გადაუწყვიტა.

✦ რადგანაც ნავთის მრეწველებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ბაქოში ყოველ-დღიურ უწესოებათა გამო რუსეთში ნავთის წარმოება სრულიად დაეცემაო, ფინანსთა სამინისტრომ დეპეშით მიმართა კავკასიის ნამესტნიკს, **დაუყონებლივ ზომები მიიღეთ ნავთის ქარხნებში წესიერების აღსადგენადაო** (რუს. ვედ.).

✦ ოზურგეთის მაზრის უფროსად დაინიშნა ამავე **მაზრის უფროსად ნამყოფი ლაზარენკო**.

✦ ყოფილ პოლიცმეისტერს კოვალიოვს ჭრილობებიდან ამოუღეს **ყუმბარის ორი ნატეხი**.

✦ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობის განკარგულებით, **სამაზრო სასანიტარო ექიმი** ბ-ნი მუხარინსკი ს. მამკოდის, ქვემო და ზემო-ავჭალის, შარახევისა და გლდანის **სანიტარულ მდგომარეობის შესამოწმებლად** გაიგზავნა.

✦ ავლაბრის კერძო სასწავლებლის გამგემ ა. **ყაზაროვმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე**, რომ მისი კერძო სამ-კლასიანი სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას ოთხკლასიანად და სწავლაც 1872 წელს გამოცემულ წესდებით სწარმოებდესო. ნამესტნიკმა ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

✦ **საქართველოს ახალ ექსარხოსს სამშაბათს, 2 აგვისტოს, მოელიან.** კავკასიის საზღვარზე შესახვედრად, ნამესტნიკის განკარგულებით, გაიგზავნა ბ-ნი პუშჩინი. ტფილისის სამღვდელოებაც შესახვედრად ემზადება.

✦ სოფელ ახალგორის (დუშეთის მაზრა) **ქსენონის გამგედ** დაინიშნა **ექიმი მ. ა. მზარეულოვი**.

✦ ტფილისის **გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს**, რა საბუთის ძალით იხდიან კოლონისტი-გერმანელები სამხედრო ბეგარას და როდინდელ დროიდან ირიცხებიან ისინი რუსეთის ქვეშევრდომებათაო. აგრეთვე მაცნობეთ, ტფილისის მცხოვრებთა რომელი ნაწილია განთავისუფლებული სამხედრო ბეგარისაგან და ფულად რამდენს იხდიანო.

✦ მიწად მოქმედების დეპარტამენტს, უცვნაირა ფრიად სასარგებლოდ, რომ მისდამი რწმუნებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში **მწვანილეულობისა და ხილის მოკრეფა გახმობას** ასწავლიდნენ, უთხოვნია ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის გამგესათვის, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საგნების სწავლებას.

✦ გუშინ, 29 ივლისს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალი რექტორი **არქიმანდრიტი გრიგოლი ტფილისში ჩამოვიდა**.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ბათომის ქალაქის მოურავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

ფელეტონი

სამხედრო მეცნიერებიდან

მთის მნიშვნელობა მომგერებელ ჯარისთვის.

მთა და საზოგადოდ მთიანი ქვეყანა ბევრის მხრივ დამაბრკოლებელია ბრძოლის დროს თავსდამსხმელ ჯარისა. სამაგიეროდ, ასეთი ადგილები დიდად სასარგებლო და ხელის შემწყობია მომგერებელ ჯარისთვის. ეს სარგებლობა მთიან ადგილისა იმდენად მეტია, რამდენადაც მომგერებელნი პატარ-პატარა რაზმებს წარმოადგენენ, რამდენადაც მარტივია მათი ორგანიზაცია და ნაკლები საბარგეები აქვთ. განსაკუთრებით მთიანი ქვეყანა შეეფერება სამოქმედოდ იმ ჯარს, რომელიც უფრო ხალხურ მეომართა გუნდებს (პარტიზანებს) მიემსგავსება.

მთიანი ქვეყანა მომგერებელთ აძლევს საშუალებას ბევრგან იქონიონ მაგარი პოზიციები. როგორი უნდა იყოს მთის პოზიცია?

მთის პოზიცია უნდა აირჩეს ისეთ ადგილას, რომელიც მნიშვნელოვანია და რომელსაც მტერი დაუსჯელად გზას ვერ აუხვევს. პოზიცია არ უნდა იყოს ფართო და არც ვიწრო—პირველი ჯარს ჰფანტავს დიდ მანძილზე და ასუსტებს, მეორე კი სჯგუფავს და მეტ ზიანს აძლევს თავსდამსხმელთაგან. ერთ ასეულს, ე. ი. ასი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს, საომარ წესის მიღების შემდეგ, უნდა ეჭიროს სიგრძით 200—300 ლაჯი პოზიცია. უკეთესია, თუ პოზიციას ორსავე ან ერთ მხარეს მაინც ახლავს ისეთი ადგილი, რომლის გავლა ან მოვლა მტერს არ შეუძლიან, მაგალითად: კლდე ან მიუვალი მაღლობი, უფსკრული, ღრმა ხევი ან კიდევ ტბა-ჭაობი. ამგვარ პოზიციიდან ზურგისკენ კარგი და ბევრი გზები უნდა მიდიოდეს, რადგან ამ გზების საშუალებით ადვილი იქნება, როგორც უკან დაწევა, ისე მაშველ ჯარის წინ-სვლა და ტყვია-წამლის საბარგეების მიახლოვება და მოშორებაც. თუ მომგერებელს აზრად აქვს და შეუძლიან კიდეც თავსდამსხმელს თვით შეუტიოს და მასთან ხელჩართული ბრძოლა გამართოს, მაშინ პოზიციის წინა მიდამო ტრიალი უნდა იყოს. მოსაგერებელ პოზიციის წინ და გვერდებისკენ სჯობს არ იყოს ტყე, ჯაგნარი, ხევები, სოფლები და სხვა, რადგანაც ყველა ეს ხელს უწყობს მტრის თავდასხმას მალულად და უზარალოდ, აგრეთვე უადვილებს მტერს შესვენებას პოზიციის ახლოს. არის საგნები, რომელიც, პოზიციის წინ მდებარეობით, **მოწინავე მოსაგერებელ პუნქტად ითვლება**. ასეთი საგნები პოზიციას არ უნდა ჰფარავდეს და მეომარს სროლასა და ხედვას არ უნდა უშლიდეს. ამ პუნქტების დანიშნულება ის არის, რომ თავსდამსხმელ ჯარს შორს მიაღებინოს საომარი განწყობა, მომგერებლებმა ადრე გაიგონ მტრის ძალა და მეტი ზიანი მიაყენონ სროლით. მტრის მოახლოვებისათანავე მალე უნდა მიტოვებულ იქმნას ასეთი პუნქტები და მეომრებმა სხვა, უკანა რიგის პუნქტებს უნდა მიაშურონ. ასე უნდა შეასუსტონ და შეაფერხონ მოწინავე პუნქტებზე მომგერებლებმა მტერი, ვიდრე ეს უკანასკნელი უმთავრეს პოციზიას შეეხლებოდეს.

ადგილობრივ საგნების მდებარეობას და მიმართულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაბმული ტყე, ხევი და მდინარე, თხრილები და გაბმული სოფლები, რომლებსაც მოსაგერებელ პოზიციიდან მტრის მხარეს აქვს მიმართულება, მტრისთვის ძალიან გამოსადეგია, ხოლო თუ ესევე საგნები პოზიციის წინ გასწვრივ მდებარეობს, მაშინ მომგერებელნი არიან დიდ მოგებაში. მომგერებელნი, ვითარცა რიცხვით თავსდამსხმელებზე ნაკლებნი, იშვიათად გაჰბედავენ ხოლმე მტერზე პირდაპირ იერიშით მისვლას. იერიშის მომტანი არის თავსდამსხმელი ჯარი, და ამიტომ მოსაგერებელ პოზიციის წინ პარალელურად მდებარე ადგილობრივი საგნები, მაგალ., მდინარეები, ორმოები, თხრილები, ჭაობები, ტბა და სხვა, აფერხებს თავსდამსხმელ ჯარს, უსუსტებს ძალას და ამით მომგერებელთ საშუალება ეძლევათ ტყვიით მიაყენონ მტერს საგრძნობელი ზარალი. ასეთ ხელის შემწყობ საგნად მომგერებელთათვის არ ჩაითვლება ტყე, რომელიც თავსდამსხმელ ჯარს, თუმცა ძალას უქსაქსავს, მაგრამ იმავე დროს ჰმალავს და იფარავს მას ტყვია-ყუმბარისაგან, როგორც ეს წინა წერილში იყო ახსნილი.

მთის პოზიცია, ბუნებრივად მაგარი და ხელშემწყობი მოსაგერებელ ომისა, ადვილად შეიძლება ხელოვნურად უფრო გამაგრდეს, მისი საომარი ძალა გადიდდეს სანგრებ-სიმაგრეების ამოთხრითა და რამდენისამე საბრძოლველ რიგების მოწყობით. მთის ფერდობი შესაძლებლად ჰხდის სანგარ-სიმაგრეთა რიგები, ერთი-მეორის ზევით ამოთხრას; ფერდოები რაც უფრო მაღალი იქნება, იმდენად მეტი რიგი დაეტევა. ვინიცობაა, მომგერებლებმა ეს ვერ მოახერხეს რაიმე მიზეზის გამო, მაშინ ფერდოები საშუალებას აძლევს მსროლელთ რამდენსამე რიგად დაწვნენ; ყველა რიგებს შეუძლიანთ ერთსა და იმავე დროს სროლა ასტეხონ: ქვეითები უვნებელნი რჩებიან ამ სროლის დროს. აქ საძნელოა მხოლოდ ქვეითა რიგის ზევით აწევა, მტრის მოახლოვების შემდეგ; ზევით აწევა თავის დროზე უნდა მოხდეს, თორემ მტერი თუ მომგერებლებში აირია, მაშინ უკან დამწევნი მიიყვანენ მტერს ზევითა რიგებთან. აწევა ჩოქითა და ბობღით უნდა მოხდეს, რათა მტერმა ვერ შეამჩნიოს და ზევითა რიგის მსროლელმა არ მოჰკლას ან არ დასჭრას თავისივე კაცი. საშინელ ტყვიის წვიმის მოყვანა შეუძლიან ასე მთა-ფერდობზე გამომწკრივებულ მეომართა ჯგუფს; ამას ძალიან შეუწყობს ხელს ახლანდელ თოფის სწრაფად გატენა და სროლა. ასე დაჭერილ პოზიციების აღება, თუ უზრუნველყოფილია ზურგი და ფრთეები, თითქმის შეუძლებელია.

მომგერებელთა იმედი მარტოოდენ ტყვიაზეა დამყარებული; თავსდამსხმელს კი ტყვია მხოლოდ გამარჯვების მოსამზადებელ საშუალებად მიაჩნია. სროლას ასტეხს ერთიცა და მეორეც, მაგრამ სროლიდან მეტი ზარალი მოსდის თავსდამსხმელს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მომგერებელნი პოზიციებად ბუნებრივ სიმაგრეებს ირჩევენ, რაიც ბევრია მთიან ქვეყანაში, ამაგრებენ სანგარ-სიმაგრეებით, მავთულით, წვეტიან პალოების დარჭობით, ორმოების ამოთხრით, ხეების ჩახერგვით და სხ.; მომგერებელი ეფარება მიწას, თხრილს, ხეს, ქვას და, შედარებით დინჯად, ესვრის მტერს, რომელიც თავდასხმითი ტაქტიკის წესით უფრო დასანახად მოქმედობს: თუ ამოეფარება რაიმე საგანს, მალე ისევ უნდა მოშორდეს,—უნდა სძლიოს ბუნებრივი და ხელოვნური დაბრკოლებანი, უნდა გაწვლოს—გადალახოს და მხოლოდ მაშინ მიუახლოვდეს მტერს. ამას კარგა დიდი დრო უნდა, ხოლო ტყვია კი ერთ წამში ასობითა და ათასობით აკლებს თავსდამსხმელთა ჯარის მეომრებს.

სწორე ველ-მინდვრიან პოზიციებთან შედარებით, მთიან ქვეყანაში ბრძოლის დროს ორთავე პოზიციებიდან ნაკლები ზარალი მოსდით, მაგრამ განსაკუთრებით ნაკლები ზარალი ეძლევა მტრის ტყვიისაგან მომგერებელ ჯარს, რომელსაც მთები პოზიციებად აქვს გაკეთებული. გასროლილ ტყვიის შედარებით მცირე პროცენტი ხვდება აქ ნიშანს. ამ მოვლენის ცოდნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროა იგი ცოტათი უფრო დაწვრილებით ავხსნათ.

ტყვია-ყუმბარა ლულიდან გავარდნის შემდეგ არ მიდის სწორედ: დედამიწასთან პარალელურად, თოფის ტუჩს რომ გასცდება ტყვია, იწყებს მაღლა-მაღლა აწევას, მერე ძირს დაშვება და, ვიდრე ნიშანს მოხვდებოდეს, აკეთებს რკალს, რომელსაც ტრაექტორია ეწოდება. $^2/_3$ ტრაექტორიის მანძილისა თოფის ტუჩიდან ნიშნამდის აწეულია, ხოლო $^1/_3$—დაშვებული.

მორტყმა ხდება იქ, სადაც ტრაექტორიის დაშვებული ნაწილი არ აღემატება ნიშნის სიმაღლეს. ტრაექტორიის იმ ნაწილს, რომელიც ნიშანზე მაღლა გადის და ამიტომ მის ქვეშ მდგომი, მწოლარე ან დაჩოქილი კაცი უვნებელი რჩება, ეწოდება **მკვდარი მანძილი**.

ამ განმარტების შემდეგ ადვილი გასაგებია ის მოვლენა, რომლის ასახსნელადაც ტრაექტორია დაგვჭირდა. ავხსნათ მაგალითით: კაცი სდგას სწორე ადგილზე და ტყვია მოხვდა თავში. ერთის კაცის თავის გახვრეტის შემდეგაც, ტყვიას შეუძლიან ზიანი მიაყენოს მოკლულის უკან მდგომ მეომრებს, ვიდრე მიწაში არ ჩაიფლება. ნიშნის თავიდან ტრაექტორიის მსგავსი ხაზი რომ გავავლოთ დედამიწის ზურგამდის, დავინახავთ სიგრძეს იმ მანძილისას, სადამდინაც ტყვია აყენებს ზიანს; ამ მანძილს **საზიანო მანძილი** ეწოდება. თუ ადგილი მიზნის უკან ეშვება სწორე ფერდობით ძირს, მაშინ ტყვია ფერდობის დასწვრივ მიდის, ვიდრე უსწორ-მასწორობა არ შეჰხვდება, და ამგვარად აგრძელებს ერთი-ორად სწორე ადგილის საზიანო მანძილს. პირიქით, თუ ადგილი ნიშნის ანუ მიზნის უკან მაღლა მიდის, მაშინ საზიანო მანძილი მოკლდება, რადგანაც ტყვია ნიშანს უკან მალე შედის მიწაში.

ზიანი, პირდაპირ მორტყმის გარდა, ასხლეტილი, ტყვიითაც მოსდის ჯარს. სად უფრო შესაძლებელი და ხშირია ასხლეტა? რასაკვირველია, იქ, სადაც ტრაექტორია და დედამიწის ზურგი შეადგენს წვეტიან კუთხეს და არა სწორეს. ამიტომ ტყვია, რომელიც ნიშანის წინ დაეცემა, შეიძლება, სწორე ადგილზე ასხლტეს და მოჰხვდეს დანიშნულებისამებრ; მთიან ადგილებში კი მიწაში იფლება და უშედეგოდ იკარგება.

მთა-გორიან ადგილს, ნახსენებს გარდა, სხვაგვარი უპირატესობაც აქვს მომგერებელთათვის. მოსაგერებელი პოზიციები მთებში ხელს უწყობს ჯარის ჩუმად გადასვლა-გადმოსვლას და მტრისაგან შეუმჩნევლად, უკანასკნელ წუთში, ბრძოლის ადგილზე შეკრებას, რაც უმთავრეს ღირსებად ითვლება მეომართა ტაქტიკაში.

მთის მეორე ფერდობი მომგერებელ მეომართ ჰმალავს დრომდის, ინახავს უვნებლად მათს ცხენებს, სანოვაგესა და საბარგეებს. ასეთი დამალვა დიდს შიშში აგდებს თავს-დამსხმელ ჯარს. მოწინააღმდეგის უჩინარობა და ნამდვილ საომარ ადგილის უცოდინარობა ხშირად იძულებულს ჰყოფს მტერს მიიღოს საომარი წესი, ე. ი. გამოიყვანოს ჯარები წინ, დაუყენოს უკან მაშველნი, არტილერიას სროლა დააწყებინოს და წინა ჯარში გაფანტული განწყობა მიიღოს. ასეთი მოქმედება მტრისა მოწინააღმდეგეს ცხადად აჩვენებს ძალასა და სამოქმედო აზრს. ამის მიხედვით მომგერებელთ შეუძლიანთ ისეთ გადაწყვეტილებას დაადგნენ, რომ ზედამსხმელთა განზრახულობა მთლად არარად აქციონ; მაგალითად, პოზიცია გამოიცვალონ და საომრად მომზადებულ მტერს გვერდიდან მოექცნენ, ან მთლად მიატოვონ პოზიცია მტრის ძალის შეტყობის თანახმად, თვითონ მიიტანონ მტერზე იერიში და სხვა.

მომგერებელთა თავდასხმას ხელს უწყობს მთის პოზიცია. კაცი ზევიდან ძირს უფრო ჩქარა და დაუღალავად მირბის და, მაშასადამე, ძალღონით სავსე შეუტევს მტერს. თავსდასხმას ისიც უწყობს ხელს, რომ მომგერებელთა სროლა უფრო მაზიანებელია, ვიდრე სროლა თავსდამსხმელთა. ტყვიით შესუსტებული და შეთხელებული მტერი ადვილად შედრკება, შეშინდება და გაბედულს თავსდასხმას მალე გაექცევა,—ზურგს აჩვენებს.

გარდა ამისა, აქ არ ხდება ის ამბავი, რაც თავსდამსხმელ ჯარს მოსდის, ე. ი. არ იკარგება და უსაქმოდ არ არის $^2/_3$ საომარ ძალისა. მომგერებელ ბრძოლაში არტილერია თავის დანიშნულებას სავსებით ასრულებს: შველის, ომის სასურველ დაბოლოების მომზადებას აჩქარებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც პოზიციას მომგერებელი ირჩევს და, რასაკვირველია, ისეთს არ ამოირჩევს, რომ ძლიერი იარაღი,—ზარბაზანი—თუნდ ერთის წუთითაც უსაქმოდ დარჩეს.

ესეც კი უნდა ითქვას, რომ ხანდახან უსაქმოდ დარჩენა აუცილებელი ხდება იმავე ტრაექტორიის მიზეზით, რომელიც თავის დახაზულობით „მკვდარ“ მანძილს აკეთებს. ეს მკვდარი მანძილი ზარბაზნის ტრაექტორიას უფრო დიდი აქვს, რადგანაც იგი ყუმბარას უფრო შორს ისვრის. ამას გარდა, თვით ზარბაზნის სასროლი მოწყობილობა ისეთია, რომ მისი თოფსავით ტრიალი შეუძლებელია. ძირს, მაღლა, მარჯვნივ და მარცხნივ დამიზნება იმდენად შეიძლება, რამდენადაც ნებას აძლევს ლაფეტი, რომელზედაც ზარბაზანია მიმაგრებული და სადაც დასამიზნებელი ასაწევ-დასაწევი ბულღები არის. ამიტომ მთის ძირი და ფერდობი, რომელზედაც არტილერია სდგას, მთლად მკვდარ მანძილს წარმოადგენს მისთვის. გვერდიდან რამდენისამე ზარბაზნის დადგმა მთიან პოზიციის ამ ნაკლს არტილერიისთვის სრულებით სპობს. სხვაფრივ არტილერია მთიან პოზიციებზე თავის სფეროშია და მისი დახმარება ბრძოლის დროს ფრიად დიდია.

მომგერებელთ ყოველთვის შეუძლიანთ გამოიყენონ ცხენოსანი ჯარიც. თავსდამსხმელ ჯარს ერთი მიმართულება აქვს. ამ მიმართულებას მას აძლევს მომგერებელი, რომელმაც თავისი ქვეყანა იცის და ამიტომ, რასაკვირველია, ეს მი-

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა „სვეტის“ წარმომადგენელს, რომ, რადგანაც თქვენმიერ დადგმული ფარნები 3—4 საათის განმავლობაში ჰქრება, რამე ზომები მიიღეთო.

✦ როგორც ვაჭრობა-მეურნეობის უფროს ზედამხედველის მოხსენებიდანა სჩანს, ტრაქტირების გადასახადებიდან გამგეობაში შეუტანელი დარჩენილა 64,205 მან., ცხენების გადასახადებიდან 29,416 მან., ნამალადევის უძრავ ქონების საიჯარო გადასახადიდან 12,255 მან. და სახელმწიფო დაწესებულებისმიერ დახარჯულ წყლის გადასახადებიდან 20,426 მ.

✦ 28 ივლისს, ნავთლუღს ქვეით, საღამოს 8 საათზე, მიმავალ მატარებელს თავს დასცემიან ვიღაც უცნობები და გენერალი სოსნიცკი გაუქურდავთ. ქურდები ვერ უპოვიათ.

✦ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“**-ს მე-17 ნომერი (მცირე წლოვანთათვის) და მე-9 ნომერი (მოზრდილთათვის). პირველი შემდეგი შინაარსისაა: 1) შინაურ და გარეულ პირუტყვთა მდგომარეობა—(ლექსი) თეოფ. კანდელაკისა: 2) მერცხლის ბუდე (თარგმანი); 3) მგელი და გლეხი.—პლ.—სა.; 4) თინა (თარგმანი) ნინა თაქთაქიშვილისა; 5) ამწვანებულ სამეფოში (ზღაპარი ტყის კაცისა) კნ. ანასტასია ამილახვრისა; 6) ჰერკულესის ამბავი; 7) სახალისო სამუშაო და გასართობი და 8) განცხადება. შინაარსი მეორესი: 1) ერთგული მეგობარი (ლექსი) ნ—ურისა; 2) ბიჭია და ცრუპენტელა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა; 3) ცხვარი, რუსულიდან, კ. ბაქრაძისა. 4) ყვავილთა შორის, თარგმანი ლ. ბოცვაძისა; 5, ფრიდრიხ შილლერი, მოკლე ბიოგრაფია, დ. ნ—შვილისა; 6) ერთი შემთხვევა ლორდ ბაირონის ცხოვრებიდან—ნ. თ—სა; 7) დავით კურაპალატი და მეფე ბაგრატ მესამე—დ. კარიჭაშვილისა; 8) ნარევი; 9, სახალისო სამუშაო და გასართობი და 10) განცხადება. დამატება: ზოოლოგია, თარგმანი, პ. სურგულაძისა.

✦ 27 ივლისს, ნაძალადევში, ქეიფის დროს ჩხუბი მოუვიდათ და სერგეი ანტონოვმა მძიმედ დასჭრა მიხეილ კოსტირინი.

✦ მეორე საპოლიციო უბანში, სუდებნი ქუჩაზე, 27 ივლისს, აკოფ აბრამოვის სახლიდან მოიპარეს ფულად 150 მანათი და 93 მანათის ნივთი.

ქუთაისის ცხოვრება

25 ივლისს, ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, შესდგა ქალაქის სასკოლო კომისიის წევრთა კრება, რომელსაც კერძო სასწავლებლების მმართველნი და მასწავლებელნიც დაესწრნენ. კრებას უნდა შეემუშავებინა ახალი პროგრამა პირველ-დაწყებით სახალხო სკოლებისთვის, რომლებშიაც მომავალი სამოსწავლო წლიდან საგნების სწავლება ქართულს ენაზე უნდა სწარმოებდეს.

კრების ერთი ნაწილი საჭიროდ სცნობდა: ისე მოეწყოს სახალხო სკოლების საქმე, რომ იქიდან სწავლის განსაგრძობად მოსწავლეთ შეეძლოთ, თუ კი მოისურვებენ, გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში გადასვლა. ამისათვის საჭიროა, რომ ხსენებულ სკოლების კურსი გაფართოვდეს და ახლანდელ სამის წლის ნაცვლად ექვსის წლის კურსები დაარსდეს, რომ, სწავლის გათავების შემდეგ, უმაწვილებმა რაიმე დასრულებული ცოდნა გამოიტანონ. კრების ეს ნაწილი საჭიროდ სთვლიდა, გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებშიაც ისე მოეწყოს სწავლის საქმე, რომ სახალხო სკოლებიდან მოწაფეებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ იქ ეგზამენის დაჭერა. აქვე აღნიშნულ იქმნა, რომ, თუ საშუალო სასწავლებელშიაც საგნების სწავლება ქართულად არ იქმნა შემოღებული, მაშინ მარტო პირველ-დაწყებით სკოლებში ქართულის ენის შემოღება, სარგებლობის ნაცვლად, პირდაპირ ზარალს მოიტანს, რადგან პირველ-დაწყებითსა და საშუალო სასწავლებლს შუა ყოველ-გვარი კავშირი გაწყდება და პირველ-დაწყებით სკოლებში კურს-დამთავრებულნი სწავლის გაგრძელებას ვეღარ მოახერხებენო; ამიტომ, ვითხოვოთო, რომ საგნების სწავლება საშუალო სასწავლებლებშიაც ქართულად სწარმოებდეს.

კრების მეორე ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართულს ენაზე საგნების სწავლებას დაბალსა თუ საშუალო სასწავლებელში მნიშვნელობა არ ექმნება, თუ ქართულ ენას ცხოვრებაშიაც სამოქმედო პრაქტიკული ნიადაგი არ ექმნა, თუ ქართული ენა შემოღებული არ იქმნა სხვადასხვა კერძო თუ საზოგადო დაწესებულებაში, სასამართლოებში და სხვაგან.

ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი ხალხი, სიღარიბის გამო, ვერ ახერხებს შვილების აღზრდას სასწავლებელში; ამიტომ საჭიროდ დაინახეს, მოითხოვონ, რომ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა ყველასთვის უფასო და სავალდებულო იქმნეს; საშუალო სასწავლებლებში კი, თუ სულ უფასო არა, მცირე ფასიანი მაინც.

სასულიერო უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ მთავრობის განკარგულება დაბალ სასწავლებლებში ქართულად სწავლების შემოღების შესახებ მხოლოდ საერო სკოლებს შეეხება, სამრევლო საეკლესიო სკოლები კი სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული, რაც ამ სკოლებს შუა არსებულ ანტაგონიზმს კიდევ უფრო გააძლიერებსო. ის სასურველად სცნობდა, რომ სასულიერო სკოლებსაც ის უფლება მიენიჭოს, როგორიც საერო სკოლებს მიენიჭებათ, რომ იქ კურს-დამთავრებულთაც შეეძლოთ სწავლის გაგრძელება საშუალო სასწავლებლებში. რაც შეეხება სასულიერო საგნების სწავლებას, ამისათვის კი სამრევლო სკოლებთან უნდა დაარსდეს დამატებითი სპეციალური კურსებიო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო შეემუშაოს პროგრამა პირველ-დაწყებით სახალხო სკოლებისათვის. პროგრამის შესამუშავებლად კომისიას მიეცა ერთის კვირის ვადა. კომისია მოიწვევს სოფლის მასწავლებელთაც.

✦ ამ დღეებში ქალაქის საავადმყოფოდან ეტლით მომავალს ქალაქის ბეითალს ვ. ი. ლანგს ბაღდადის შარაზე, საღორიის ტყეში, თავს დასხმია ოთხი, რევოლვერებით შეიარაღებული, კაცი და წაურთმევია ოქროს საათი თავის ძეწკვით, ფულიანი ქისა და ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლით, ღირებული სულ 200 მანათად. გამძარცველებისა ვერაფერი გაიგეს. ბ-ნს ლანგს კი მესამედ დაესხნენ თავს ყაჩაღები. ამჟამად ბაღდადის შარაზე საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის დარაჯები დგანან, რომელნიც იცავენ სასაკლაოზე ხორცის შესამოწმებლად მიმავალს ქალაქის ბეითალს.

✦ როგორც გვიგეთ, არქიელის გორაზე მცხოვრებთ დაუდგენიათ, უარი განაცხადონ ქალაქის სხვადასხვა გადასახადებზე, რადგან ქალაქს ჩვენი უბანი სრულიად უყურადღებოდაა აქვს დატოვებულიო: მიუხედავად ჩვენის მრავალ-გზის თხოვნისა, არ ზრუნავს არც ქუჩების გაკეთებაზე, არც განათებაზე, არც სკოლების დაარსებაზე, არც სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და არც სხვა რამ ჩვენს სიკეთეზეო.

✦ ქუთაისში აზრი ტრიალებს, აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ რეალურ სასწავლებელთან პანსიონის ნაცვლად დაარსებულ იქმნას სამთო განყოფილება.

ისარა.

საცერი

(ი. ქილკანის წერილიდან)

ძველს რეჟიმს გრძნეული საცერი ჰქონდა. კიდიდან კიდემდე ადამიანის ყოველსავე ცოცხალ აზრს იჭერდნენ, თავისუფლად გამოთქმულ სიტყვას, გაქვავებულ-გაშეშებულ ცხოვრების საწინააღმდეგოს, იჭერდნენ და ამ გრძნეულ საცერში ატარებდნენ... და გაბედული, წარმტაცი სიტყვა უსიცოცხლო გამოდიოდა ამ საცერიდან, უსიცოცხლო, დამახინჯებული... და მრავალი წარმტაცი აზრი გაჩენისათანავე ჰქრებოდა საცერში...

წელს ძველ წყობილების ყველა ნაწილი მოიშალა მოულოდნელად. ამ გრძნეულ საცერსაც რაღაცა დაემართა. ერთის მხრივ, დიდი ხანია, რომ მას ასეთის გამწარებით არ უმუშავნია. პროვინციალურ გაზეთებში ყოველ-დღე თეთრი ადგილები რჩება შიგა-და-შიგ დაუბეჭდავი, ამოჭრილ ტექსტის მაგივრად განცხადებებს ბეჭდავენ შუა გაზეთში.

მეორეს მხრივ კი, რუსეთს ჯერ თავის დღეში არ გაუგონია ისეთი სიტყვები, ისეთი ამბები, რომელიც ამჟამად იბეჭდება გაზეთებსა, ჟურნალებსა და წიგნებში...

რა დაემართა ცენზურის გრძნეულ მოწყობილობას? ადვილი სათქმელია. ცირკულიარებს არ შეუძლიან მშვიდობიანობის, წესიერების დამყარება, როდესაც ყველაფერი ირყევა გარეშემო.

ცირკულიარს ყოველთვის თვითნებობა მოჰყვება,—კეთილის-მყოფელი ან ავის მყოფელი თვითნებობა, მაგრამ თვითნებობა კი იქნება უთუოდ. და რაც უფრო შორს მიდის ცირკულიარი პროვინციაში, მით უფრო ცხადი, უფრო თვალში საცემი, უფრო მძლავრი და უაპელაციო ხდება ეს თვითნებობა. ცირკულიარს არ შეუძლიან ცხოვრების ათასნაირი მოვლენა წინდაწინვე სრულად მიიღოს მხედველობაში, და პროვინციალურ ცენზორს კი ეძლევა ნება თავის ჭკუით შეუფარდოს მთელის კუთხის ცხოვრება ცირკულიარს. ყოველ-დღე უნდა გადაწყვიტოს მან საძნელო საკითხი: რა „შეიძლება“ და რა არ „შეიძლება“... ამის აუცილებელი შედეგი კი არის: ერთ გაზეთში—თეთრი დაუბეჭდავად დარჩენილი ადგილი, მეორეში კი—გულახდილი, გაბედული სიტყვები, იმედიანი მოწოდება. ერთ ადგილას „არ შეიძლება“, მეორეში კი—„შეიძლება“. ისიც მოხდება ხშირად, რომ ერთსა და იმავე გაზეთში ხან „შეიძლება“ და ხან კი არ „შეიძლება“. ცენზორი უხელო მანქანა როდია, დღეს ერთ გუნებაზეა, ხვალ კიდევ სხვა გუნებაზე იქნება.

ზევიდან ყოველ-დღე მოდის დაპირება, რომ ბეჭდური სიტყვა განთავისუფლებული იქნებაო, კომისიები ერთ გროვა წინანდელ ცირკულიარების გადასინჯვაზე შრომობენ,—ცხოვრება კი ძირს ისევე შეურყევლად თავის გზას მისდევს. გაზეთები აზვირთებულ ზღვაში მიმავალ ნავებივით ხან ზევით აქვს ტალღას, ხან კიდევ უფსკრულში ჰკარგავს, და ამიტომ ცდილობენ სწორ გზაზე გავლას. და მკითხველთანაც ამ გაზეთებს მხოლოდ ნახევრად შერჩენილი ტვირთი თუ მიაქვთ, ნახევარი ეკარგებათ გზაში, წყალს მიაქვს...

გაზეთების შინაარსს ანადგურებს არა მარტო ცირკულიარები, არამედ აშკარა და გულახდილი თვითნებობაც.

„სევერნი კრაი“ მკითხველებს ბევრ საინტერესო და კარგად შეგროვილ ფაქტებს აწვდიდა. ამ გაზეთის წყალობით რუსეთის ჩრდილო ნაწილმა შესძლო თავის საჭიროებათა გამოთქმა.

და, აი, უცებ—საინტერესო წერილების, კორესპონდენციებისა და ფელეტონების მაგივრად, ამოშლილ ადგილებზე — განცხადებები! რა მიზეზია, რომ ასე უცებ და მოულოდნელად შეიცვალა გაზეთი? ცირკულიარები წინადაც იყო, არსებობს ახლაც... აწ და მარადის... მაშ, აქ ცირკულიარები არაფერ შუაშია,—აქ თვითნებობამ იჩინა თავი.

მაისის შუა რიცხვებში ტამბოვში, როგორც იქმნა, პირველი კერძო გაზეთი დაარსდა,—„ტამბოვსკი გოლოს“. ცოცხალმა, კილომ კარგ წერილების და კორესპონდენციების სიმრავლემ ამ გაზეთს თანაგრძნობა მოუპოვა მაშინვე ხალხში.

გაზეთები კეთილ მომავალს უქადიდნენ ამ ახალ მოძმეს.

მაგრამ თვეც არ გასულა და საშინელი ცვლილება მოხდა...

წერილების მაგიერად... თეთრი ადგილები და ამ ადგილებზე რედაქციის ირონიული განცხადება: „ტამბოვში ცენზურიან გაზეთზე ხელის მოწერა მიიღებაო“, ან „ცენზურიანი გაზეთი „ტამბოვსკი გოლოს“ ისევე გამოდის ტამბოვში“... კიდევ ერთი თვის შემდეგ გაზეთი სრულებით მოისპო... დაარჩევს... შლიდნენ შიგ ორიგინალურ წერილებს, შლიდნენ სხვა გაზეთებიდან გადმობეჭდილ ამბებსაც, ადგილობრივ „გუბერნსკი ვედომოსტებიდან“ გადმობეჭდვის ნებასაც არ აძლევდნენ.

ამნაირი მაგალითები ხშირია. თვითნებობაც ყოველგან იჩენს თავს: კეთილის მყოფელი—იშვიათად, ავის მყოფელი—ხშირად.

და ამ სისტემას საკვირველი შედეგი მოჰყვება.

ოდესის ჟურნალისტები დღესასწაულობენ ადგილობრივ ცენზორის ფრომის წასვლას, იმ ფრომისა, რომელმაც მეტად დასტანჯა ყველანი. იგი ტომსკში გადაიყვანეს. აქ ფრომი ნახევარ წელიწადს „მუშაობს“. ამას წინად გაზეთებში ეწერა, რომ ტომსკის მცხოვრებლების სიხარულს საზღვარი არა აქვს,—რატომ? იმიტომ, რომ ფრომი ისევ გადაიყვანეს... ოდესაში „ბედმა გვარგუნა ამ სულით ავადმყოფთან საქმის დაჭერა. მაგრამ ახლა კი მოელო ბოლო ამგვარ სატანჯველს. სამაგიეროდ, ოდესელების სიხარულსაც მოელო ბოლო. საცოდავი ოდესელები“!..

საკვირველია: სულით ავადმყოფი ადამიანი რუსეთის ერთ კუთხიდან მეორეში გადადის,—უშველებელი ქალაქები კი, გუბერნიაში მცხოვრები მილიონი ხალხი შეძრწუნებული მოელის მისს მოსვლას!..

პრესსას მხოლოდ კანონი რომ განაგებდეს, ან ცირკულიარები ყველგან სრულის სისწორით რომ სრულდებოდეს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამა თუ იმ ადამიანის პიროვნებას, „სულით ავადმყოფ ადამიანის“ პიროვნებას პრესსისთვის?

ახლა კი მთელი ქალაქი მოელის ამ „სულით ავადმყოფ“ ადამიანის გაბატონებას.

შეიძლება, განა, ცოტაოდენი ეჭვი მაინც იქონიოს ადამიანმა, რომ ასეთ პირობებში კანონი, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, საზოგადო ცხოვრების თანდათანი განვითარება—ტყუილი ოცნება და თავის მოტყუებაა? რასაკვირველია, კანონით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი, შეიძლება, რასაკვირველია, ცირკულიარებს შეუფარდოს ადამიანი, მაგრამ როგორ უნდა შეუთვისოს იგი თვითნებობას, ,,სულით ავადმყოფ'' ადამიანების ჟინსა და სურვილს? და ეს ხომ ერთსა და ორ ადგილას არა გდება ასე?

არსად, არც ერთ საქმეში ბიუროკრატიული თვითნებობა ისე ცხადად არა სჩანს, როგორც ,,თავისუფალ'' სიტყვის დამონებაში. არსად განმანთავისუფლებელი რეფორმა არ არის ისეთი აუცილებელი საჭირო, როგორც პრესსაში. რა გზითაც უნდა გამოვიდეს ცხოვრების უწინდელ ფორმებიდან ახალი ცხოვრება, პირველი და უმთავრესი შრომა მაინც პრესსას დაეკისრება ასასრულებლად. პრესსაში, როგორც უზარმაზარ სარკეში, გამოჩნდება ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენა. პრესსაში გამოითქმება ახალი საკითხები, პრესსაშივე ამ საკითხებს პირველად შეიმუშავებენ და გადასწყვეტენ. აქ იბადება პროექტები, აქ დაიდება საზოგადოებრივი მსჯავრი მეტის სისწორით, ვიდრე სასამართლოში; აქ გამოითქმის საზოგადო აზრი, საზოგადოების სხვადასხვა გადაწყვეტილება მწიფდება.

ამიტომ, თუ მართლა ამ მოკლე ხანში უნდა შემოვიდეს სხვადასხვა განმანთავისუფლებელი რეფორმა,—ამ რეფორმების განსახორციელებლად ფეხის გადადგმაც არ შეიძლება, სანამ „ბეჭდური“ სიტყვა თვითნებობისაგან განთავისუფლებული არ იქმნა: არ არის მომავლის იმედი იქ, სადაც შეჯაჭვულია სიტყვა...

რუსეთი

კობეკოს კომისია, რომელსაც ცენზურის წესდების გადასინჯვა ჰქონდა მინდობილი, **აღარ განაახლებს თავის საქმეს**. ამრიგად, პრესსის მდგომარეობა შეუცვლელი რჩება და ჯერ-ჯერობით არ იციან, რით გათავდება ეს საქმე (ნ. ჟ.).

✦ კარის მინისტრი ბარონ ფრედერიქსი **სამსახურს თავს ანებებს** (რ. ვ.).

✦ საზღვაო სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც **რევიზია უნდა მოუხდინოს** ამ სამინისტროს მოქმედებას უკანასკნელ წლის განმავლობაში (რ. ვ.).

✦ **პრესსის თავისუფლება.** ჟურნალ „იზ. ობ. გრ. ინჟ.“-ის რედაქცია აცხადებს: „ჩვენის ჟურნალის მესამე და მეოთხე ნომერი, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვერ გამოდის“ (რ. ვ.).

✦ პოლტავის მუშებმა შემდეგი რეზოლუცია დაადგინეს: „ჩვენ ზიზღით ვიხსენიებთ იმათ, ვინც ებრაელებს სდევნის და ეროვნულ შუღლს სთესავს. შეუძლებელია, რომ ეს შუღლი დაითესოს იმ მუშათა შორის, რომელთაც ესმით რამე და ლუკმა-პურს თავის მარჯვენით შოულობენ. ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ, პოლტაველი მუშები პოლტაველ ებრაელების აკლების ნებას არავის მივსცემთ“. ამ დადგენილებას რამდენმამე ასმა კაცმა მოაწერა ხელი (რ. ვ.).

✦ კამენეც-პოდოლსკში გაუვრცელებიათ **პროკლამაცია**, რომლითაც „პატრიოტებს“ ებრაელებისა, პოლონელებისა, ფინლიანდელებისა და საზოგადოდ არა-რუსების ასაკლებად იწვევენ. (რ. ვ.).

✦ ივნისის განმავლობაში ლიბავის ნავთსადგურიდან 2280 რუსეთის ქვეშევრდომი გახიზნულა საზღვარ გარედ. (რ. ვ.).

✦ 24 ივლისს ვარშავის სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა** გადაუწყვიტა ვაცლავ კომაროვსკის (20 წლ.), რომელმაც 16 აპრილს პოლიციელი დიმიტრიუკი მოჰკლა (რ. ს.).

✦ 23 ივლისს ვარშავაში, ქუჩაში მდგომ საერობო დარაჯ ჩვანკოსთან ორი უცნობი მისულა, **ექვსჯერ დაუხლიათ რევოლვერი** და მიმალულან. ჩვანკო ორ ალაგას არის დაჭრილი. მისი მორჩენა საეჭვოა (რ. ს.).

✦ 23 ივლისს პეტერბურგის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე საერობო უფროსის ივანოვისა, რომელსაც ომში გაწვეულ 30 სალდათის განთავისუფლება ბრალდებოდა. სასამართლომ ივანოვი გაამართლა; სასამართლოს თავმჯდომარე ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. (რ. ს.).

✦ მთავრობამ ამ მოკლე ხანში უნდა შეიმუშაოს **კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ** და დააარსოს განსაკუთრებული სამედიატორო სასამართლო, რომელმაც შრომასა და კაპიტალს შორის მომხდარი უთანხმოება უნდა გაარჩიოს ხოლმე (პ. ვ.).

✦ პეტერბურგის სააქციზო სამმართველოში ერთ დიდ მოხელეს დიდძალი **ფული გაუფლანგავს.** (ს.)

✦ ადესაში მომხდარ არეულობის დროს ყველაზე მეტი ზარალი მიეცა რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოებას, რომელსაც დაეწვა 3 გემი, ბეღლები, საქონლის საწყობები და სხ. ამ საზოგადოებამ ფინანსთა მინისტრს უსარგებლოდ ფულის სესხება სთხოვა. მინისტრმა შეიწყნარა ეს თხოვნა და 830 **ათასი მანათი ასესხა 15 წლით უსარგებლოდ** (რ.).

✦ პეტერბურგის ეპარქიის **სამღვდელოება** მომავალ შემოდგომას სრულიად-რუსეთის სამღვდელოების კრების ნებართვას თხოულობს. ასეთივე ნებართვა ითხოვეს ნოვგოროდისა, პსკოვისა, არხანგელსკისა და ფინლიანდიის ეპარქიების სამღვდელოებამაც. (პ. კ.).

✦ რუსეთის გაზეთების ცნობებით, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქმნა **ახალი წესი პოლიტიკურ საქმეების გამოძიებისა.** ახალ წესით პროკურორს უფლება ეძლევა ისე მოსპოს პოლიტიკური საქმე, რომ ჟანდარმერიის სამმართველოს არაფერი შეატყობინოს (პ. კ.).

✦ „პატრიოტულ გაზეთ“ დენ“-ის გამომცემელს ბერგს **„პატრიოტულ“ აზრების გავრცელებისთვის** მთავრობამ 30,000 მანათი მისცა (პ. კ.).

✦ **ებრაელთა საკითხის გასარჩევად** ჯერ ცალკე კომისია უნდა შეედგინათ, მაგრამ ეხლა ამისთვის თავი დაუნებებიათ და ამ საკითხის განხილვა მომავალ სახელმწიფო რჩევისთვის მიუნდვიათ. ამბობენ, ამ საგნის შესახებ სახელმწიფო რჩევაში ვიტტე მოხსენების წაკითხვას აპირობსო (პ. კ.).

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია, სხვადასხვა პროფესიისა და ხელოსნობის კავშირებს, რომელნიც უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდნენ. სამინისტრომ გადასწყვიტა, პასუხის გებაში მისცეს მრავალი ჟურნალისტი, ინჟენერი, ექიმი, ვექილი და სხვანი, რადგან ზემოხსენებულ **კავშირებს სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედება აქვთ მიზნად.** ეს კავშირები და მათი წევრები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ დაუმალავად მუშაობენ: პროგრამებს ავრცელებენ, ბეჭდავენ, პროპაგანდას ახდენენ და სხ. სამინისტროს ერთმა წევრმა ამ კავშირებთან ბრძოლის პროექტი შეადგინა და მინისტრს წარუდგინა, ამ მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ კავშირების უმთავრესი მიზანი არის—მთავრობასთან ბრძოლა და სახელმწიფო წეს-წყობილების დაქცევა (რ. ს.).

✦ გზათა მინისტრმა გამოსცა ახალი ცირკულიარი, რომლის ძალითაც ამ სამინისტროში მომუშავეთა და მოსამსახურეთ **ეკრძალებათ** ყოველგვარ კავშირებისა, ბიუროებისა და ამგვარ დაწესებულების შედგენა. (რ. ს.).

✦ ნიკოლაევში 1900 წლიდან შენდება ერთი 130 ტონიანი ნაღმოსანი. შავი ზღვის ფლოტის უფროსმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება, ნაღმოსნის აშენება დააჩქარეთო, მაგრამ მისი აშენება **ჯერაც ვერ დაუმთავრებიათ.** საზღვარგარედ ასეთ პატარა გემებს ნახევარ წელიწადში აშენებენ (რ. ს.).

✦ 23 ივლისს პეტერგოფში ხელმწიფის თავმჯდომარეობით **მოხდა კრება** შესახებ იმისა,

---

მართულება იქნება უფრო ძნელი მისვლა-მოსვლისთვის და მაგარ პოზიციებითაც სავსე. უცოდინარობა მხარისა და გზისა, მცხოვრებთა უკმაყოფილება, მტრულად დახვედრა თავსდამსხმელთა-ცხენოსანს აიძულებს ქვეითა ჯართან ახლო იყოს. მომგერიებელთ კი ეს არ სჭირდებათ. ცხენოსანი აქ თავისუფალია, მას არაფერი ზღუდავს, ოღონდ სურვილი და თავის გამოდება შესძლოს. შემოვლა, ზურგიდან დაცემა, სანოვაგის ჩუმად განადგურება, საზოგადოდ, მტრის შეწუხება მომგერებელთა მხედრობისათვის უფრო მოსახერხებელია. ძიება და დაზვერვა, რაც თითქმის შეუძლებელია თავსდამსხმელ ჯარის მხედართათვის, მომგერებელ ჯარის მხედართ დაუბრკოლებლად შეუძლიანთ. ქვეყანა მათკენ არის, მაშასადამე, ქვეითა ჯარის მოშორებისა მათ არ ეშინიანთ; ცოდნა გზა-კვალისა და გზის ერთგული მაჩვენებელნი უზრუნველ ჰყოფენ გზის დაბნევისაგან, უაზრო და ხან სახიფათო ხეტიალისაგან; მცხოვრებნი შეინახავენ მხედართ და ცხენებსაც დამალავენ, გააპარებენ, როცა საჭიროა, და ყველაფერსაც დაწვრილებით გადასცემენ. ცხენიდან ჩამოხტომა, ქვეითად მოქმედება და მერე ისევ ცხენით სარგებლობა მომგერებელთა ცხენოსნისთვის თითქმის ყოველთვის უხიფათოა. თავს-დამსხმელთათვის კი ასეთი ოპერაცია, ჯარიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, შეიძლება, მცხოვრებთაგან მათის ამოჟლეტის მიზეზად გახდეს. მცხოვრებთა მოხერხებით ცხენების დაფთხობაც უმწეო მდგომარეობაში ჩააგდებს ცხენებიდან ჩამომხტარ მხედრებს.

ამგვარად, მთიანი ქვეყანა და მთის პოზიციები მეტად სასარგებლოა მოსაგერებელ ომისთვის, რადგანაც: 1) თვით ქვეყანა და პოზიცია ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, 2) გზებისა და მიმართულების გაკვლევა უზრუნველ-ყოფილია, 3) ნიშანში ტყვის მორტყმა უფრო მომგერებელთ შეუძლიანთ, 4) მომგერებელთა გადასვლა-გადმოსვლა მტრისაგან შეუმჩნევლად და უვნებლად, შედარებით, ადვილი საქმეა, 5) ასეთი ადგილი აძნელებს თავდასხმას და აადვილებს მომგერებელთაგან მტერზე იერიშის მიტანას, 6) არტილერიას აძლევს საშუალებას სავსებით გამოიჩინოს თავისი ძალა და უნარი, და 7) ცხენოსანს დიდ სარბიელს და სამოქმედო ასპარეზს უჩენს.

აქ დაახლოვებით ვაჩვენეთ მეომართა მოქმედება და ბრძოლის მიმდინარეობა მთიან ქვეყანაში; აღვნიშნეთ ამგვარ ქვეყნის კარგი და ცუდი თვისებანი მებრძოლთათვის. ამ დროს ჩვენ მხედველობაში გვყავდა ორი მოპირდაპირე, რეგულიარულ ჯარისაგან შემდგარი, ლაშქარი. მაგრამ არის, როგორც წინადაც ვსთქვით, არა რეგულიარული ჯარიც და ამისთანა ჯარის ტაქტიკა. საჭიროა განვმარტოთ, თუ როგორი უნდა იყოს არა-რეგულიარულ ანუ ხალხურ ჯარის ტაქტიკა და რამდენად ხელსაყრელია მისთვის მთა-გორიანი ქვეყანა.

ეჭვს გარეშეა, რომ კაცი ფიზიკურად კაცად რჩება, დააყენებთ მას რეგულიარულ ჯარში თუ ხალხურ მეომართა შუა, და, მაშასადამე, ძნელი თვისებანი მთისა და დამაბრკოლებელი პირობანი ხევ-ღრეებისა ხალხურ მეომართათვისაც იგივეა, რაც სხვებისათვის. მთაზე ასვლა, ხევში ჩასვლა, რუ-ხევ-მდინარეებში გასვლა-გამოსვლა ყველას დაჰღლის, ყველას აიძულებს შესდგეს, შეისვენოს და ისე განაგრძოს გზა. მაგრამ აქ ხალხურ მეომართ, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, ცოტა უპირატესობა აქვთ დასამონავებლად შემოსეულ ჯარის წინაშე. მთაზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრები სირბილით აივლის, მოსული კაცი ნელის ნაბიჯითაც გაჭირვებით უნდა ავიდეს.

ჩიტი საცა დაიბადა, მისი ბაღდადიც ის არისო. ხალხურ მეომართა გუნდის საქმეც ასეა მთიან ადგილებში: სადაც მოისწრობს მტერს, სასურველ პოზიციასაც იქ გაიკეთებს. ამგვარ ადგილებში ყოველ ნაბიჯზე მოიპოვება ისეთი ფერდობი, გორაკი, ხევი, თხრილი, რომელსაც შეუძლიან ეს გუნდი მიიკედლოს, მისცეს სასროლი მოწყობა, დამალოს და უვნებელ ჰყოს მტრის ტყვია-ზარბაზნისაგან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ამორჩეულ მოსაგერებელ პოზიციებს და მტრის მიმართულებას მოძრაობის დროს მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, არამედ მხოლოდ ის, რომ აქ დიდი ძებნა არ უნდა პოზიციას, და მის ღირსება-ნაკლულევანებაზე ფიქრი და დროის დაკარგვა მეტია. არის მიუდგომელი პოზიცია,—ხომ რა კარგი, არ არის და—ამისთვისაც ხალხის მეომართა ჯგუფი თავს არ იტკივებს, რადგანაც რომელიმე პოზიცია მას ომის ბედის გადაწყვეტისთვის არ უნდა: ერთ პოზიციაზე ომის საბოლოოდ გათავება ხალხურ პატარა ჯგუფებისათვის შეუძლებელია. დღეს რომ მათი პოზიცია აღმოსავლეთისაკენ იყურებოდეს, ხვალ სამხრეთისაკენ, ზეგ—დასავლეთისაკენ და მაზეგ კიდევ ჩრდილოეთისკენ იქნება, ასე რომ, ამ გუნდებს პოზიციები ყოველ მხარეს აქვთ. რაც უფრო დაქსაქსულია მათის პოზიციების მიმართულება, იმდენად მათთვის კარგია; გუშინ რომ პოზიციაზე პირით ჩრდილოეთისკენ იბრძოდნენ, დღეს, შეიძლება, ამ პოზიციაზედვე პირით სამხრეთისაკენ ბრძოლა მოაწყონ, და ეს მათთვის უკეთესიც იქნება. პოზიცია კი არა სწყვეტს ომის ბედს, როდესაც ხალხური მეომარნი ებრძვიან რეგულიარულ შემოსეულ ლაშქარს, არამედ სისტემა, ზედი-ზედ მიბმული პოზიციები, საიდანაც მომგერებელნი ტყვიასა და ქვებსაც კი უშენენ მტერს და ამგვარად ნელ-ნელა სწყვეტენ, ასე რომ, ბოლოს შესაძლებელი ხდება მასთან ძალით იმდენად გათანასწორება, რომ ჯგუფები ხელ-ჩართულ ბრძოლას გამართავენ და, ან სულ ამოსწყვეტენ, ან ტყვედ ჩაიგდებენ ხელში.

ამ შესუსტებაზე ადრე, ამ გათანასწორებაზე უწინ ხელჩართული ბრძოლა მომგერებელთათვის სახიფათოა, და მებრძოლ გუნდებმა თუ მაინც გამართეს ასეთი ბრძოლა, ამით თავის უვიცობას დაამტკიცებენ. შეიძლება, დიდი გულადობა გამოიჩინონ, გმირულადაც დაიხოცნენ მტერთან პირველსავე შეხვედრებაში, მაგრამ ასეთი ქცევა აღელვებულ წყალში ცურვის უცოდინარის გადავარდნას დაემსგავსება.

როგორი უნდა იყოს თვით ბრძოლა მოსამზადებელ პოზიციებზე? ბრძოლას გუნდი ათავებს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე იწყებს, ე. ი. ებრძვის და ცდილობს ზარალი მიაყენოს მტერს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ემზადება, საომრი წესი მიიღოს, როდესაც ამისთვის იწყებს მოძრაობას; გზაში, პოზიციასთან მოახლოვების დროს, კიდევ უფრო დიდი ზარალი უნდა მიაყენონ მომგერებლებმა წამოსულ ჯარს. როცა საომრად განწყობილი ჯარი უფრო წინ წამოვა და 100—200 ლაჯზე მიუახლოვდება უმთავრეს პოზიციას, მაშინ, თუ თავსდამსხმელი ჯარი ხალხ-მრავალი დარჩება, ხალხურ მეომართა გუნდები, სირბილით უკან, ან საითაც უჯობთ, იქით იწევენ. ამგვარად იქცევიან ისინი ყოველთვის. აქაც გუნდების ყოველი ნაბიჯი უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს მაძიებელთა დამზვერავთაგან.

ტყე და მთები მშვენიერ საბრძოლველ მოედანს აძლევს ხალხურ მეომართა გუნდებს. თუ სადმე მოახერხებს გამარჯვებას რეგულიარულ ჯარზე ხალხი,—ეს იქნება ან ტყეში, ან მთებში. ტყიან-ბუჩქნარიანი მთები საუკეთესო საბრძოლველი ასპარეზია ხალხურ მეომართათვის.

სამხედრო კაცი.

თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო რჩევის კანცელარია (რ. ს.).

◆ ხმა დადის, ფინლიანდიის უმაღლეს მთავრობას შეცვლიანო. ფინლიადიის ეხლანდელი გენერალ-გუბერნატორი სამსახურს თავს ანებებს და იმის ალაგას გენერალა პუტიატი ინიშნება. (რ. ს.).

უცხოეთი

ლა-ბარრუს ძეგლის აგების გამო პარიზში. „პარიზის ხელოვნებას, ორი შენობა უტეხავს სახელსაო,—სწერდა ემილ ზოლა 1889 წ.—ეიფელის კოშკი და ტაძარი „sacrécoeur“ (წმ. გულისა). მას აქედ გავიდა ხანი და პარიზელთა ესტეტიური გრძნობა „150 საჟენიან კოშკს“ შეეჩვია. სამაგიეროდ „sacré-coeur“-ის ტლანქი ტაძარი კი ისევ ისე პირქუშად გადმოჰყურებს მონმარტიდან დიდ ბულვარებს და პარიზელთა გულში შურის ძიებას აღეიძებს კლერიკალთა წინააღმდეგ მით უმეტეს, რომ ეს ტაძარი კლერიკალებმა 1871 წლის შინაურ ომის სახელობაზე ააგეს „საფრანგეთის ცოდვათა მოსანანიებლად კათოლიკე ეკლესიის წინაშე“... მერე სულ შემოწირულის ფულით იყო აგებული! დღეს კი, როდესაც საფრანგეთი იმდენად შეიცვალა, რომ კლერიკალის ქუჩაში გავლა მხოლოდ ღიმილსა და ოხუნჯობას იწვევს და მანიფესტაციების დროს საოხუნჯო სიმღერით დაედევნებიან ხოლმე; დღეს, როდესაც კლერიკალთა მოქმედებასა და თვალთმაქცობას ნიღაბი აეხადა და ქვეყნის მოტყუება მოუხერხებელი შეიქმნა, პარიზელებმა გადასწყვიტეს უფრო თვალსაჩინოდ აგრძნობინონ კლერიკალებს თავიანთი გადამტერება. ამის გამო ტაძრის პირდაპირ ლა-ბარრუს ძეგლი სურთ აუგონ. ეს ლა-ბარრუ საფრანგეთის ინკვიზიციის უკანასკნელი მსხვერპლი იყო. იგი აწამეს დიდ რევოლუციის დაწყებამდე ოცის წლის წინად...

მუშათა გაფიცვა ევროპაში. გერმანიაში ოფიციალური გაზეთები ყოველ თვე აცხადებენ ხოლმე ცნობებს გაფიცვის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, 1904 წელს გერმანიაში 1,870 გაფიცვა ყოფილა. წინა წლებში კი შედარებით ნაკლები. მაგ., 1903 წ. მხოლოდ 1374, 1902 წ.—1,060. წარსულის წლის გაფიცვაში (1,870) მონაწილეობა 10,321 წარმოების 113,480 მუშას მიუღია, ე. ი. 41,5 პროცენტს იმ რაიონის მუშებისას, სადაც გაფიცვები ყოფილა. ამათგან 449 გაფიცვა სრულის გამარჯვებით გათავებულა—მუშებს გაუტანიათ თავისი მოთხოვნილებანი. 688 გაფიცვას—მოთხოვნილებათა ერთი ნაწილი დაუკმაყოფილებია, ხოლო 733 გაფიცვას კი უნაყოფოდ ჩაუვლია.

საფრანგეთის შრომის დეპარტამენტმაც გამოაცხადა 1904 წ. მომხდარ გაფიცვათა ცნობები. ამ ცნობებით, წარსულს წელს საფრანგეთში სულ 1,026-ჯერ ყოფილა გაფიცვა, რომელშიაც 17,250 წარმოებას მიუღია მონაწილეობა. გაფიცულთა რიცხვი კი 271,097 ყოფილა. გაფიცვის დროს გაცდენილ დღის რაოდენობა 3,935,000 უდრის. გაფიცვებს ასეთი შედეგი ჰქონია: მუშებს 297-ჯერ სავსებით გაუმარჯვნიათ, 394-ჯერ მორიგებით გათავებულა საქმე, ხოლო 335-ჯერ უნაყოფოდ ჩაუვლია გაფიცვას.

იტალიაში 1904 წელს 324 გაფიცვა ყოფილა. მონაწილეობა 134,332 მუშას მიუღია. ამათგან 230 შემთხვევაში მუშებს თავისი გაუტანიათ.

ინგლისში 1904 წელს 334 გაფიცვა ყოფილა. მონაწილეობა მიიღო 83,922 მუშამ. გაფიცვის დროს გაცდენილ დღეთა რაოდენობა 1,416,265 უდრის. ამათგან 58 გაფიცვა 15,338 მუშის სრულის გამარჯვებით გათავებულა, 105 გაფიცვა 25 ათას მუშისთვის—მექარხნეებთან მორიგებით, ხოლო 111 გაფიცვას უნაყოფოდ ჩაუვლია. ინგლისში, წარსულს წელს, წინა წლებთან შედარებით, მეტად ნაკლები გაფიცვები იყო.

* * *

ქართველ თავად-აზნაურთა მილიციის პროგრამა.

საჭიროდ მიმაჩნია გაუწყო ჩვენს მკითხველებს „ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის“ პროგრამა, რომელიც შემდეგ მუხლებში გამოიხატება:

მიზანი:

1) მხედრობამ უნდა აღმოუჩინოს საზოგადოების წევრს შემწეობა, დაიცვას მათი სიცოცხლე, პიროვნება და საკუთრება.

2) მხედრობამ ყოველის ღონის-ძიებით უნდა დაიცვას გლეხობა ბოროტ-განმზრახველთაგან და ამით მისცეს საშუალება ააცდინოს მას თავიდან ის განსაცდელი, რომელიც აუცილებელი შედეგია ყოველ უაზრო და უსაზღვრო მოთხოვნილებისა.

3) მხედრობამ უნდა აგრძნობინოს ხალხს, რომ თავად-აზნაურობა არა თუ თავათ ეცდება წესიერად განსაზღვროს გლეხობასთან ადგილ-მამულის საქმე, მთავრობასთანაც შუამდგომლობას გაუწევს, რომ გადასახადები შეუმცირონ, რომ მთავრობამ სახაზინო მამულებიდან დააკმაყოფილოს უმიწწულო ან მცირე მამულიანი გლეხი და გააუმჯობესოს სკოლისა, ეკლესიისა და სასამართლოს საქმე და სხვა; ერთის სიტყვით, მხედრობამ უნდა გაუთვალისწინოს გლეხობას, რომ თავად-აზნაურობას და მას ბევრი საერთო საქმე აქვთ მოსაწყობი და ძალ-მომრეობით, კი არა, არამედ ერთმანეთის დახმარებით, უფრო ადვილად მიაღწევენ მიზანს. კერძო საკუთრებას ვერავინ შეეხება პატრონის დაუკითხავად.

შედგენილობა:

4) მხედრობა შესდგება იმ ქართველ თავად-აზნაურთა და გლეხთაგან, რომლებიც საზოგადოების წევრებად იქმნებიან მიღებულნი.

5) მხედრობა განიყოფება მოძრავ და ადგილობრივ დამცველ ნაწილებად. მოძრავი ნაწილი მუდამ მზად უნდა იყოს, საჭიროებისა გვარად, სხვადასხვა ადგილას, სადაც კი დაინიშნება, დარაჯად დადგეს. მოძრავი ნაწილი შესდგება ცხენოსანთაგან. ადგილობრივ დამცველ ნაწილში კი ქვეითსაც შეუძლიან მონაწილეობის მიღება.

6) მხედრობის ყოველ ათს კაცს განაგებს ათისთავი, ათის-თავს ირჩევს ჯგუფი ათის კაცისა; დაამტკიცებს ასის-თავი, ანუ ხუთის უფროსი.

აი, ეს გახლავთ რაზმის პროგრამა, ანუ ის, რასაც ისინი პროგრამას ეძახიან. მსჯავრის დადება კი მკითხველისათვის მიგვინდვია.

გ. ნამორაძე.

კორესპონდენცია

სოფ. ხაში (ტფილ. მაზრა). თ-მა ჩოლოყაშვილმა თავისი მინდორი გასათიბავად კაზაკებს გადასცა. კაზაკებიც დასახლდნენ ადგილობრივ ცხენიან-ბარგიანად და საქმეს შეუდგნენ. ამ რამდენიმე დღის წინად, ღამე, კაზაკებს ცხენების ჯოგი სოფლის ვენახებში გადაერეკათ. ხაშელებმა შენიშნეს და მთელი ჯოგი სოფელში მორეკეს. შეიქმნა მისვლა-მოსვლა. დადგენილებისამებრ, გლეხებმა თითო სულზე ოთხი მანათი მოითხოვეს. კაზაკებმა თოფებს სტაცეს ხელი, გლეხებმა კიდევ კეტებს და ერთი უბედურება დატრიალდებოდა, რომ კაზაკთა უფროსი არ ჩარეულიყო და არ ეთქვა: „კაზაკებს ცხენები დაუბრუნეთ და, რაც ზარალი გაქვთ, მე გიზღავთო“. ხაშელებმა კაზაკებს ცხენები დაუბრუნეს.

რის ვაი-ვაგლახით სოფელში ვენახების სარწყავი წყალი გამოიყვანეს თუმცა იმდენი ვეღარ მოახერხეს, რომ რუ რიგიანად გაეკეთებინათ—წყალმა რუ დახრამა და გააფუჭა.

დიდი ხანია სოფელს სასმელი წყალი ენატრება და არ იციან, ვინ გამოჩნდება ისეთი მადლიანი კაცი, რომ სასმელი წყაროს წყალი გამოიყვანოს.

სოფელ ხაშს არც გზები უვარგა, უპატრონოს ჰგავს. აქაური მამასახლისი, როგორც ერთმა გლეხმა სთქვა, მხოლოდ „სტრაჟნიკს უჭერს ხოლმე უზანგოს“ ე. ი. მხოლოდ პოლიციის ყურმოჭრილი მონაა. ახლანდელ ბიუროკრატიულ წესწყობილების წყალობით, იგი **მამა სახლისა** აღარ არის, იგი სოფლისათვის აღარა ზრუნავს...

რაკი სოფელმა სული მოიბრუნა და თვალებზე ხელი მოისვა, დარწმუნდა რომ ბევრი რამ ჰკლებია და თავის თავს თითონვე უნდა უპატრონოს...

ახალ თაობასა და ძველ თაობას შორის დაწყებულ ბრძოლას გარკვეული სახე ეძლევა: ძველი და მასთან მსგავსი თაობა ძველ გზას არა სთმობს, ახალი თაობა კიდევ ცდილობს მათ ძლიერების შესუსტებას და სოფლის გამოფხიზლება-გაადამიანებას.

ჩვენც წარმატება ვუსურვოთ.

ირინი.

—

დ. ცხინვალი. 26 ივლისს, ს. ტირძნისისაკენ მიდიოდნენ თურმე ერთი მღვდლის შვილი და დიაკვანი. შეხვდრია გზაზე აპალონ მახაბელი და ერედველი თ. ზაქრაძე, კარგა დაზათაიანად მიუტევებიათ, გაუხდიათ ტანისამოსი და საცვლების ამარა გაურეკიათ. ნაცემებს ჩვიდმეტი თუმანი დაჰკარგვიათ.

26 ივლისს, ნაშუადღევის სამ საათზე, როდესაც აპალონ მახაბელი ტირძნისიდან ცხინვალს გადმოვიდა, ქუჩაში ესროლეს თოფი, ტყვიამ გაუარა უბეში, გაუხვრიტა ცხვირი და ძრიელ დაუშავა მარჯვენა თვალი. გამწარებულმა მსროლელს ორჯელ ესროლა რევოლვერი, მაგრამ აცდა. მსროლელი მიიმალა. დაჭრილი ა. მახაბელი დარაბებს მიეყუდა, შველა პირველად თვისმავე ცოლმა აღმოუჩინა, სხვა არავინ მიეკარებია. ფერშალს სთხოვეს, მაგრამ უარი განუცხადა: მე თავი მოსაკლავი არა მაქვსო. თანდათან ა. მ—დი ძრიელ ცუდად გახდა სახე დაუსივდა და სახლში წაიყვანეს. როგორც ამბობენ, მისი მორჩენა საეჭვოა. იმ დღეს სალდათები დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს შეკრებების ნებას არ აძლევდნენ.

ეს ოთხი დღეა, აქეთ განუწყვეტლივ წვიმს. კალოებზე ძნები და ნალეწი სულ დალპა.

ქარ-ცეცხლი.

—

ქ. გორი, 26 ივლისი. ხალხის დიდის მოძრაობით ხშირად სარგებლობენ მავნე პირნი თავიანთ პირადის ანგარიშებისათვის.

ამ რამდენისამე დღის წინად აქ ერთს გლეხს, ნიკოლოოზ მახარაშვილს, ღამე დაუწვეს კალოზე მიტანილი ძნა. ზარალი სამოც თუმნამდეა. საწყალი გლეხი უღელში შუროდ დარჩა. რასაკვირველია, აქ ბოროტ-მოქმედნი კერძო მტრები იყვნენ და პირადი ანგარიშები ჰქონდათ.

გორის ქალაქის საბჭოშიაც ძლიან აურ-ზაურია ატეხილი. მისს რწმუნებულთ (ხმოსნებს) რადგან ერთნაირი ავადმყოფობა შეჰყრიათ, რის გამოც ექვსმა მათგანმა ქაღალდი შეიტანა, ავადმყოფობის გამო გთხოვთ რწმუნებულობისაგან გამანთავისუფლოთო. ერთმა რწმუნებულმა 23 ივლისის კრებაში ამ ავადმყოფობას შელახულ თავ-მოყვარეობის და შეურაცხყოფის მოუნელებლობა დაარქვა. გორის ქალაქის მოურავი დიდს საგონებელშია ჩავარდნილი: სულ თხუთმეტი რწმუნებული იყო; სამი მოკვდა, ექვსმა ითხოვა დათხოვნა, დარჩა ექვსი და სწორედ, რომ დიდი ამბები ხდება გორის საბჭოში, მაგრამ, ხომ იცით, ოჯახური რამეა...

25 ივლისს გორში ხალხმა ორს ქურდს წაუსვა მური პირისახეზე და ისე შემოატარა მთელი ქალაქი. წინ ერთი კაცი მიუძღოდა და ყოველ ქუჩაში აცხადებდა: ესენი არიან ქურდებიო. თურმე ხაშურიდან ჩამოვიდა ერთი კაცი წინასაღამოთი. ძილის დროს ამ ორ ქურდს ამოეცალათ მისთვის საათი, რვა მანათი ფული, გაეხადნათ ჩუსტები და წინდები და მოეპარათ ქუდი. გამოდევნებოდა საწყალ კაცს და ეძებდა სცემოდა. შეეხვდა ეს ხალხისათვის. ხალხმაც იპოვნა ქურდები, გამოართვა მოპარული ნივთები და ფული და ქურდებიც ასე დასაჯა, თუმცა ქურდები ათს თუმანსა ჰპირდებოდნენ, ნუ დაგვსჯითო.

გ. ნამურაძე.

—

სოფ. კავთისხევი. ხალხში თვითცნობიერების განმტკიცება უძლიერესი იარაღია ყოველგვარ გაჭირვებასთან საბრძოლველად. ხალხი, დროთა ვითარების გამო, ამჟამად წელში მოხრილია, უსამართლობის მძიმე უღელი მას ღონივით კისერზე დასდებია და დღითი-დღე შეუბრალებლად სიცოცხლეს უწამლავს. თითოეულ შეგნებულის კაცის, თითოეულის ინტელიგენტის საღმრთო მოვალეობაა ხალხს ეს მძიმე ტვირთი შეუმსუბუქოს და სწორსა და ნათელს გზაზე დააყენოს.

ვინც ხალხის თვითცნობიერების განმტკიცების საქმეს გულწრფელად ხელს უწყობს, ვინც მდაბიო ხალხის გონებრივად განვითარებისათვის ზრუნავს, იგია ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი, იგია ხალხის ღვიძლი შვილი.

გუშინდელ კარჩაკეტილ კავთისხეველ გლეხს დღესდღეობით საზოგადოებრივ ცხოვრების საჭიროება შეუგნია, და ეს გარემოება კი პირდაპირი შედეგია გლეხ-კაცობის გონებრივად განვითარებისა.

ამ ზაფხულს, დასახელებულ პატარა ჯგუფის მეთაურობით, კავთისხევში სამი სახალხო წარმოდგენა გაუმართავთ და მეოთხეც 23 ივლისს გამართეს. წარმოდგენილ იქმნა „ორი დარაჯი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ტფილისიდან მოწვეულნი მსახიობნი ბ-ნნი ი. ივანიძე და ნ. გოცირიძე, ხოლო ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგან —ქ-ნნი ელისაბედ მონასელიძე და ბარბარე კანდელაკი და ბ-ნნი ა. ხატისკაცი, ე. ჯაჯანაშვილი, ი. ცხვედაძე, დ. გედევანიშვილი, ი. გვედესიანი, ლ. ჩივაძე და ნ. ინდოშვილი. ხალხი წარმოდგენას მრავლად დაესწრო.

წარმოდგენის შემოსავალი გადადებულია კავთისხევის მუდმივ სცენის მოსაწყობ ავეჯების შესაძენად.

ა. მ—ძე.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 29 ივლისი. გუშინ საღამოს ვიღაც უცნობმა პირმა მოჰკლა რევოლვერით ფარმაკოლოლი ბერძენიშვილი. მკვლელი დაიმალა. მეეტლეები და მეღროგეები გაფიცულნი არიან; წყლის მზიდავთა ნაწილი მუშაობს პოლიციის ძალდატანებით.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 ივლისი.

ტოკიო, 28 ივლისი. იუწყებიან, კამჩატკისა და ოხოტსკის მახლობლად ორთავე ესკადრა შეუდგა თავის განზრახვის განხორციელებასაო.

პორტსმუტი, 28 ივლისი. დღეს დილით სხდომაზე ვიტტემ კომურას გადასცა ნოტა, რომელშიაც განცვიფრებაა გამოთქმული იმის გამო, რომ კომურამ გუშინ არ წარმოადგინა თავის მინდობილებათა რწმუნების ქაღალდი. ამის შემდეგ იაპონელებმა რუსებს გადასცეს ზავის შესახებ წერილობითი პირობანი, რომლითაც იაპონია ზავზე სთანხმდება. გადაწყვეტილია, რომ რუსები განიხილავენ ამ პირობებს და წერილობითვე მოამზადებენ პასუხს, ხოლო მანამდე კი სხდომები შეწყდება.

პორტსმუტი, 28 ივლისი. დილის სხდომა ნაშუადღევის 2 საათსა და 45 წუთზე გათავდა. აქედან რწმუნებულნი სასადილო ოთახში წავიდნენ საუზმისთვის. იაპონელებმა ზავის პირობები სხდომის გათავებისას წარმოადგინეს წერილობით. კომურამ ორი ეგზემპლიარი ზავის პირობისა, რუსულად და ფრანგულად დაწერილი, გადასცა ვიტტეს, რომელმაც ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ სხდომა შესწყვიტეს. ვიტტეს ნოტა იმის თაობაზე, რომ კომურამ გუშინ არ წარმოადგინა თავის მინდობილებათა რწმუნების ქაღალდი, ოქმში შეიტანეს. რუსეთის რწმუნებულთ შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნეს: „დღევანდელს სხდომაზე საბოლოოდ გამოირკვა, თუ რომელ მხარეს რა მინდობილება აქვს დაკისრებულიო“. ამის შემდეგ იაპონიის რწმუნებულთ გადასცეს რუსებს წერილობით იაპონიის ზავის პირობები. გადაწყვეტილია, რომ იაპონელთაგან წარმოდგენილი პირობები დაწვრილებით შეისწავლონ რუსებმა და, რაც შეიძლება, ჩქარა უპასუხონ წერილობითვე. სხდომა გადაიდეს. ტოკიოელმა პროფესორმა ტაგასაკიმ, რომელმაც ჯერ სატოსთან ითათბირა, განაცხადა,—იაპონიის პირობები შემდეგიაო: მანჯურიიდან რუსებმა ჯარები გაიყვანონ, სახალინი და ვლადივოსტოკი იაპონიას უნდა დაუთმონ და იაპონიას რუსეთმა კონტრიბუციად უნდა მისცეს 200 მილიონი გირვ. სტერლინგი (ერთი გირვანქა სტერლინგი 10 მანათს უდრის), მაგრამ ეს მოთხოვნილებანი, შეიძლება, ცოტათი შევამსუბუქოთო. კონფერენცია უთუოდ დასრულდება ხელშეკრულობით, ვინაიდან რუსეთი იძულებულია ბევრი რამ დაუთმოს იაპონიას, მაგრამ ის კი შესაძლებელია, რომ მოლაპარაკება გაჭიანურდეს.

ტოკიო, 28 ივლისი. ჩემულპოსთან ბრძოლაში დაღუპული რუსეთის კრეისერი „ვარიაგი“ იაპონელებმა ზღვიდან ამოიღეს.

პეტერბურგი. ოფიციალური მოხსენება ბრძოლის ველიდან 27 ივლისს არ მოსულა.

იაპონელებისათვის პორტ-არტურის გადაცემის მიზეზთა გამოსარკვევად შემდგარმა კომისიამ ჩვენება ჩამოართვა პორტ-არტურის ციხის შტაბის უფროსს გენ.-ლეიტ. რეისს. შემდეგს სხდომაზე კომისია ჩვენებას ჩამოართმევს გენერალ სტესსელს. როგორც ისმის, სტესსელს ჩვენებას ჩამოართმევენ, როგორც მოწმეს, რადგანაც კომისიას არა აქვს მინდობილი იმის გამორკვევა, თუ ვინ არის დამნაშავე პორტ-არტურის დამცველთა შორის იმაში, რომ ციხე მტერს დაანებეს,—მან მხოლოდ ის უნდა განიხილოს, თუ რა მდგომარეობაში იყო ციხე, როდესაც მტერს დაანებეს. სტესსელის გასამართლების საქმე კი სასამართლოს გადაეცემა, თუ მის პასუხის-გებაში მისაცემად უმაღლესი მოწყალება და ნებართვა გამოვიდა. ასეც რომ მოხდეს, წელიწად-ნახევარზე ადრე მაინც ვერ შესდგება სასამართლო სტესსელის საქმის გასარჩევად.

პარიზი, 28 ივლისი. აქ უნუგეშოდ უყურებენ პორტსმუტის სამშვიდობო კონფერენციას, რადგანაც იაპონია მართლაც და მართლა უზომოდ ბევრსა თხოულობსო, განსაკუთრებით კონტრიბუციასაო.

დღეს მარსელში მიღებულ გაზეთ „ეკო დე შინ“-ში გამოქვეყნებულია ბოგდიხანის დეკრეტი, რომელშიაც ნათქვამია: „ჩინეთმა უნდა ისარგებლოს ახლანდელ სამშვიდობო მოლაპარაკებით და მოახერხოს როგორმე, რომ ჩინეთს დაუბრუნდეს ჩრდილოეთის სამი პროვინციაო“.

ჩინეთმა საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნა საზღვარ-გარედ მყოფ თავის წარმომადგენლებს,—შეიტყეთ, რა აზრისანი არიან სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობანი რუსეთ-იაპონიის სამშვიდობო მოლაპარაკებასა და ჩრდილოეთის სამის პროვინციის შესახებ და ხშირ-ხშირად გვაცნობეთო.

მუკდენის ჩინელმა პრეფექტმა თავაზიანად მოსთხოვა მუკდენში მყოფ იაპონელთ,—მუკდენი ჩინეთს ეკუთვნის და, უმორჩილესად გთხოვთ, იაპონიის დროშა ჩამოიღოთო.

კოსტრომა, 28 ივლისი. საგუბერნიო ერობას საგანგებო კრების მოწვევის ნება არ მისცეს.

ჩიტა, 28 ივლისი. ჯარის მოუსვენრობაა. მკვიდრნი დახმარებას თხოულობენ.

მოსკოვი, 28 ივლისი. რუზის მაზრაში მოხდება გლეხთა ყრილობანი, რომელზედაც თავადი დოლგორუკოვი ხალხის წარმომადგენელთა მნიშვნელობაზე ილაპარაკებს.

კიშინიოვი, 28 ივლისი. ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობის თანახმად, სოროკვის სამაზრო ინსპექტორმა ცირკულიარი დაუგზავნა სოფლის მასწავლებლებს, მთავრობის ნებადაურთველად სკოლის შენობაში არამც და არამც კრებები არავინ მოახდინოსო.

პეტერბურგი, 28 ივლისი. დღეს დასრულდა კრება იმ საბჭოსი, რომელიც გარედ გასატან ნავთზე ბაჟის შესახებ საკითხს არკვევდა. კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაწესდ იქმნას ნავთის ბაჟი კრებაზე დამსწრე, ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ტიმირიაზევმაც იგივე განაცხადა. კრების აზრი საბაჟო კომიტეტს გარდაეცემა, რის შემდეგაც, ამ საკითხს დასკვნას ფინანსთა მინისტრს მოახსენებენ.

ტრომზე, 28 ივლისი. ფინმარკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ მოსულა გემი „ტერრანოვა“, რომელზედაც ციგლერის ექსპედიცია იყო. ექსპედიციის სამეცნიერო მოგზაურობა ნაყოფიერი ყოფილა. მათი გემი „ამერიკა“ ყინულებს დაუმსხვრევია.

ლონდონი, 28 ივლისი. დღეს გილდხოლს მივიდა საფრანგეთის 80 მეზღვაური-ოფიცერი, რომელთაც კარგად შეეგებნენ. ადმირალმა კაიარმა საპასუხო სადღეგრძელოთი მიჰმართა ლორდ-მერს და სთქვა:—ამიერიდან ლამანშის არხი კი არ აცალკევებს საფრანგეთს-ინგლისისაგან პირიქით აახლოვებსო.

პორტსმუტი, 28 ივლისი. ინგლისის მეფემ საფრანგეთის ოფიცრებს მატუშში ბანკეტი გაუმართა. გაუმასპინძლდნენ საფრანგეთის 1000 ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს.

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, კურლიანდიის გუბერნიაში გადასულან დუხობორები, რომლებიც იაკუტსკის ოლქში გაუთავისუფლებიათ, და საშობლოში დაბრუნების მაგიერ ლიბავიდან ამერიკას მიემგზავრებიან თავის თანამორწმუნეებთან.

პეტერბურგში მყოფმა თ-დ პავლე დოლგორუკოვმა აცნობა მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობას, ნამდვილად გავიგე, რომ სახელმწიფო საბჭოს პროექტი უკვე ხელმოწერილია და მის გამოცხადებას 30 ივლისს მოელიანო.

რომის-კათოლიკეთა მიტროპოლიტის კანდიდატად ასახელებენ ლუცკო-ჟიტომირის ეპისკოპოსს ნედზელკოვსკის და პრელატს სტეფანე დენისევიჩს.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ 28 ივლისს, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა თორმეტ პოლიტიკურ დამნაშავე გლეხთა და აზნაურთა საქმე და შემდეგი განაჩენი გამოაცხადა: ნევაროვსკი, ხოკსი და სტოლიაროვი გამართლებულ იქმნან. რუდნევი, რევაკო, იალდუნცევი და სმირნოვი დაპატიმრებულ იქმნან ერთ დღიდან ერთ თვემდე. ოთხი საქმე—პოდიაკოვისა, კისიხევისა, ლიივისა და სტრანდნარისა გადიდო, რადგან მოწმეები არ გამოცხადდნენ.

პეტერბურგი, 28 ივლისი. გაზეთები იუწყებიან: იასნაია პოლიანიდან კაცი მოვიდა და სთქვა, გრაფი ლევ ტოლსტოი ამჟამად კარგად ჰგრძნობს თავსაო. მეზობელ მემამულეებთან დადის და ცხენით 15—20 ვერსს მაინც დასეირნობს, თუმცა ახლა უკვე 77 წლის მოხუცია. გრაფს ჩვეულებრივად უყვარს [illegible] ნარეში ბანაობა. განუშორებლად თან ახლავს ექიმი ჩეხი. ტოლსტოი უწინდებურად რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგია, რის საბუთადაც თავის უკანასკნელ თხზულებაზე უთითებს. ამ თხზულებაში იგი ამტკიცებს, რომ პროგრესი მხოლოდ ადამიანის შინაგან ძალთა განვითარებითა და გაუმჯობესებით შეიძლებაო. საზოგადოდ კი გრაფი ახალ მოძრაობაზე ლაპარაკს ერიდება.

პეტერბურგი. წარჩინებულ მოხელეთაგან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ოქმი უნდა შეადგინოს სახალხო წარმომადგენლობის გამოცხადების შესახებ.

კიევის კომერციულ სასწავლებლის საბჭომ დეპუტაცია გაგზავნა ფინანსთა სამინისტროში და იშუამდგომლა იმის შესახებ, რომ სასწავლებელი კერძოდ ითვლებოდეს და შეეძლოს იხელმძღვანელოს 9 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით იმის შესახებ, რომ საგნების სწავლება საშობლო ენაზე სწარმოებდეს. შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. 26 ივლისს დეპუტატები მინისტრს წარუდგნენ. თანახმად სამოსწავლო ნაწილის გამგის, მინისტრის ამხანაგის, მოხსენებისა და დეპუტატების-მიერ წარდგენილ წერილისა, მინისტრმა შუამდგომლობა კანონიერად დაინახა და გამოაცხადა, რომ ამ საგანს მინისტრთა კომიტეტს აუწყებს და ამგვარ სკოლის დაარსების ნებართვას მომავალ სექტემბერში მიიღებენ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამაზოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—21)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოლოპრინი“ მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6—9).

ვ. შექსპირის თხზულებანი
ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„რიჩარდ“, „მაკბეტ“, „კორიოლან“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „ოტელო“
იყიდება ცალკე წიგნაკებად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან“, დ. განდეგილის თარგმანი, დრამატიულ საზოგადოების გამოცემა.

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.